


42
935

ՀԱՅԿԱՍՏԱՆ



ՀԱՅԿԱՍՏԱՆ
№ 9

„პროლეტი“

№ 9

სამ. ა. ლ. ქ. კ. ცეკასა და
სამ. განსახორციელის ერთობი-
ური ჟურნალი

სექტემბერი 1935

წელიწადი 89-11

კადასტრის მისამართი:

პიროვნის ქ. № 7.

სახელგამო,

სს. ლ. კსლ. საქმური

შინაარსი:

| | |
|---|----|
| 1. მზეთამზე გაჩეჩილაძეს (ლექსი) — შიო მღვიმელისა | 1 |
| 2. სკოლისაკენ (ლექსი) — არნო ონელისა | 1 |
| 3. კრეკებილის თავგადასავალი (მოთხრ.) — ანატოლ ფრანსის | 1 |
| 4. ლევარსი როზროხაძე — ი. ხინველისა | 5 |
| 5. ისევ წიგნი (ლექსი) — სანდრო ულენტიისა | 7 |
| 6. წყალდამსაზი — პაპა ლაღოხი | 8 |
| 7. ფრიადოსანი ელიკო — არკ. ხუნდაძისა | 10 |
| 8. დაბრუნება (ლექსი) — მ. ებრაღიძისა | 11 |
| 9 რაზმი ლაშქრობის დროს — მ. ზანეგინისა | 12 |
| 10. მოსწავლე ენთუზიასტი (ლექსი) — ვერა შუბლაძისა | 41 |
| 11. პიონერორგანიზაციების ამოცანები საპაერო თავდაცვის საქმეში. — ა. მდივანი | 14 |
| 12. ჩემს პატარა გოგონას (ლექსი) — ი. ხინველისა | 15 |
| 13. საბჭოთა ქვეყნის ფრთები — ს. გონდოლაძისა | 15 |
| 14. საბავშვო ფოლკლორი | 16 |
| 15. გადაშენებული გოლიათები — შ. თ-ლისა | 17 |
| 16. მოესპოთ ბავშვთა უბატონობა — ნ. ეფრახიძისა | 20 |
| 17. პარაშუტის ისტორია — მრ. | 23 |

გაგზვთა შემოკვედება

| | |
|---|----|
| 18. ღამე ჩემ სოფელში — ელიზბარ უბილაძისი | 24 |
| 19. პიონერს (ლექსი) — გიგა ნემსიწვერიძისა | 25 |

მხატვარი — დონი

სარედაქციო კოლეგია

პ/მგ. რედაქტორი: აპ. ჩხვიიაშვილი.

პ/მგ. მდივანი: როდონ შორაძია

წევრები: ლ. მანვიანი, ნ. ჩარკვიანი, მ. ჭიჩიშვილი, შ. თაბუკაშვილი, მ. ახვლედიანი.

სტილისტი: — შ. თაბუკაშვილი.

გამომგვები: ს. ხვიჩია,



სახელად მქვია მზეთა მზე
რადგან თბილი ვარ გულითა,
მერცხლებს და ჩიტებს ვუმზერი
სულ მუდამ სიყვარულითა.

არაფერს ვერჩი, როდესაც
ჩემს ახლო ჩამოსხდებიან,
იმათ რომ დევნა დაეუწყო
როგორღა გამრავლდებიან!

140
1935 / 2

ფისიკოც მიყვარს სწორედ ვსთქვა
არც ცუგოსა ვყოფ უარსა
სიტყვას ვიძახი ბეჯითსა
მართალს და მოუტყუარსა.



დღისით ვთამაშობ თოჯნებთან
დროს არა ვკარგავ წოლაში,
როცა რო ვადა მომივა
წავცუნცულდები სკოლაში.

შიო მღვიმელი

ეს ლექსი შიო მღვიმელმა უძღვნა
ექიმ ნიკოლაზ მ. გაჩეჩილაძის
ბავშვს მზეთა მზეს, 1931 წელს. დე-
დანი ინახება.

მთა. მდინარე. მწვანე ტევრი.
(მათი ნახვა არც წელს ამცდა!)
ვეძმე ნიავს. ტყემაც ბევრი
მზიარული მიძღვნა განცდა!
ნეტავ მაშინ დაგენახათ —
რა სიამით ვმწყესდი ხარებს!
გალმა ყანა, ბალ-ვენახი
ულიმოდა მზიან დარებს.
არ გეგონოთ წიგნი დავვმე,
ან ვუმზერი დინდვრებს უქმად,
ვიცი: თუ არ შრომობ, საქმობ,—
არ გეკუთვნის პურის ლუკმა!
მეც მეჭირა ხელში თოხი,
მეც ავუწყვე ნამგალს პირი,
დამკვრელების წრეში მოვხვდი,
საქმე ვქენი გასაკვირი.
მთა. მდინარე. მწვანე ტევრი.
ცა კრილა, ხან პირქუში,
ბანაობა, კალო, კევრი —
ზღაპარივით ჩამოჩა გულში!
ახლა როცა სექტემბერი
შემოდგომის აღდგენს სეზონს,
როცა ქარვის ღია ფერი
შეეპარა ბახჩას, ეზოს,
როცა ნიავს მივაბარე
საგაისო ფიქრი, ზრახვა, —
სკოლისაკენ მივიჩქარი,
გულს ახარებს სკოლის ნახვა!
კვლავ წიგნმა და მკვირცხლმა აზრმა
გამინათოს გზა და კვალი—
რომ ავმღერდე, რომ აღვეგზნო!
ყოველდღიურ გარჯა-სწავლით!

არნო მენელი



მემწვანილე ჟერომ კრენკებილი დადიოდა ქა-
ლაქში, მიაგორებდა თავის ურიკას და გაიძახოდა:
„კომბოსტო, ბოლოკი, სტაფილო“. როდესაც მას
პრასი ჰქონდა, ყვიროდა: „სატაკური“, რადგან პრა-
სი ღარიბი კაცისათვის სატაკურია.

ერთხელ, 20 ოქტომბერს, შუადღისას ფეხსაცმე-
ლის მკერავი ქალი ბეიარდი თავისი სახელოსნო-
დან გამოვიდა და მწვანილის ურიკას მიუახლოვდა.
აგდებულად აიღო კონა პრასი და თქვა:

— ეს შენი პრასი არაფრად არ ვარგა; როგორ
ღირს კონა?

— ხუთმეტ სულ, ქალბატონო, უკეთესს ვერ
იშოვით.

— ხუთმეტ სულ, სამი უვარჯისი პრასა?
და ქალმა ზიზლით გადაისროლა კონა ურიკაში.
ამ დროს კრენკებილს თავს წაადგა პოლიციელი
№ 64 და უთხრა:

— გაიარეთ!
ორმოცდაათი წელი იყო, რაც კრენკებილი დი-
ლიდან სალამომდის განუწყვეტლივ დადიოდა. ასე-
თი ბრძანება მან ბუნებრივ და კანონიერ მოვლენად
ჩათვალა. მზად იყო ბრძანებას დაჰმორჩილებოდა,

ამიტომ ააჩქარა ქალი, რომ პრასი თავის გემოზე ამოერჩია.

— ისევ უნდა ამოვირჩიო საქონელი! — გესლიანად უპასუხა ფებსაცემელის შვერავმა ქალმა. პრასის ყველა კონა ხელახლა ვადასინჯა. ბოლოს მხოლოდ ერთი დაიტოვა, რომელიც ყველაზე მშვენიერი მოჩვენა და გულზე მიკრული წაიღო.

— თოთხმეტ სუს მოგცემ, ეს გვეოფა. ამისათვისაც სახელოსნოში უნდა შევიბრინო მოსატანად, რადგან თან არაფერი წამომიღია.

და მკერდზე მიხუტებული პრასით შევიდა თავის ფებსაცემელის სახელოსნოში, სადაც ჩვილბავშვინმა მყიდველმა ქალმა დაასწრო შესვლა.

პოლიციელმა № 64 კრენკებელს მეორეჯერ უთხრა:

— გაიარეთ!

— ჩემს ფულს ვუცდი, — უპასუხა კრენკებელმა.

— მე არ გეუბნებით, რომ თქვენს ფულს დაუცადოთ, მე გეუბნებით გაიაროთ! — გაუმეორა მტკიცედ პოლიციელმა.

ფებსაცემელის მკერავი ქალი კი ამ დროს თავის სახელოსნოში ათი თვის ბავშვს ლურჯ ფებსაცემელს აზომებდა, რადგან პაწიას დედას ძალიან ეჩქარებოდა. პრასის მწვანე ღეროები დახლზე ეწყო.



ნახევარი საუკუნე იყო, რაც კრენკებელი ქუჩაში თავის ურიკას დააგორებდა და ხელისუფლების წარმომადგენლისადმი დამორჩილება შესწავლილი ჰქონდა. ახლა ის განსაკუთრებულ მდგომარეობაში მოემქცა — მოვალეობასა და უფლებას შორის. მას აკლდა იურიდიული გამჭრიახობა. თავის უფლებას — თოთხმეტი სუ რომ მიეღო — მეტი ყურადღება მიაქცია და თავის მოვალეობაზე საკმაოდ არ იზრუნა, რომ ურიკა გაეგორებია და თვითონაც წინ წასულიყო. ერთ ადგილს შერჩა.

პოლიციელმა № 64 მშვიდად და გულმოსუსვლელად მესამეჯერ უბრძანა გაიარეთ. პოლიციელი № 64 გაფრთხილების მიცემაზე ხანტია, ოქმის შედგენაზე კი მარდი. ასეთი ხასიათი აქვს. თუმცა ის პირქუშია, მაგრამ საუტხოო მოსამსახურე და ერთგული ჯარისკაცი. მან მხოლოდ სამსახურის წესი იცის.

— მაშ თქვენ არ გესმით, რომ გეუბნებით გაიარეთ მეთქი?!

ადგილზე დასარჩენად კრენკებელს, თავის მტყუნე-დულეებით, მეტად ანგარიშგასაწვევი გარემოება ჰქონდა და ის საკმარისად მიიჩნია, რაც მარტივად და სადად ვანაცხადა:

— რა ჯანდაბაა! აკი ვამბობ, რომ ჩემ ფულს ვუცდი!

პოლიციელმა № 64 უპასუხა:

— თქვენ გსურთ, რომ ოქმი შეგიყენოთ. თუ ეს გნებავთ, სთქვით მხოლოდ...

კრენკებელმა ამ სიტყვების გაგონებაზე მხრები აიჩეჩა, პოლიციელს სევდიანად გადაჰხედა, შემდეგ ზეცას მიაპყრო თვალი. მის სახეზე კაცი ამოიკითხავდა:

— კანონების დამრღვევი ვარ მე, განა? მე დავცინი, განა, დეკრეტებსა და დადგენილებებს, რომლებიც ჩემს მოუსვენარ ხეტილს აწესრიგებენ? დილის ხუთ საათზე ჰალის მოედანზე ვიყავი. შვიდი საათიდან ხელს ვიწვავ ურიკას ხელნახე და გვეირი: „კომბოსტო, ბოლოკი, სტაფილო“. სამოცი წლის მოხუცი ვარ, დაქანცული, და თქვენ მეკითხებით აჯანყების შავ დროშას ხომ არ ვაფრიალებ. დამცინით და თქვენი ხუმრობა ულმობელია“.

სწორედ ამ დროს მონმარტის ქუჩაზე გზა საშინლად შეიკრა: ეტლები, ომნიბუსები, კამიონები შეჯგუფდნენ, ერთი მეორეს მიეჭუჭყნენ, გადახლართნენ. მათ ათრთოლებულ უძრობაში ისმოდა ლანძღვა-გინება, ყვირილი. მეეტლები და ყასბის ბიჭები შორი-შორიდან და აუჩქარებლად ერთმანეთს გამირულ სალანძღავ სიტყვებს ესროდნენ. ომნიბუსების კონდუქტორები, რომლებიც გზის შეკვრის მიზეზად კრენკებელს თვლიდნენ, „ბინძურ პრასას“ უძახოდნენ მას.

სეირის საყურებლად ფილაქანზე ცნობისმოყვარენი შედგნენ. პოლიციელმა № 64 შენიშნა, რომ მას თვალს ადევნებდნენ, და ის მხოლოდ ერთმა აზრმა შეიპყრო — თავისი ძალაუფლება გამოეჩინა.

— კარგი, — თქვა.

და ჯიბიდან ამოიღო გაქონილი უბის წიგნაკი და დაღეული ფანქარი.

კრენკებელი თავის ფიქრებს მიჰყვებოდა, რალაც შინაგან ძალას ემორჩილებოდა. სხვათა შორის, არც წინ წასვლა შეეძლო ახლა მას და არც უკან დახევა. მისი ურიკას თვალი, საუბედუროდ, მერძვეის ურმის თვალს მოსდებოდა.

კრენკებელმა ქუდქვეშ თმები აიწეწა და წამოიძახა:

— მაგრამ მე ხომ გეუბნებით, რომ ჩემს ფულს ვუცდი: რა უბედურობაა! ფუ, რა ჯანდაბაა!

პოლიციელმა № 64-მა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო ამ პასუხით, რომელშიაც უფრო უიმედობა იხატებოდა, ვიდრე აღშფოთება. ბოროტმოქმედის სიტყვები მოესმა როგორც „სიკვდილი

ძროხებს“ (ფრანგები პოლიციელებს დასამცირებლად „ძროხებს“ ეძახიან), რადგან ყოველგვარ შეურაცხყოფას მისი ყურები ამ ნაჩვევი გინების სახით ითვისებდა.

— მაშ თქვენ თქვით „სიკვდილი ძროხებს?“ კარგი, მომყვით!

კრენკებილი უსაზღვროდ ვაოცებული, სასოწარკვეთილი, მზისაგან დამწვარი, თვალგაბრუნებული შესცქეროდა პოლიციელს № 64 და ლურჯ ხალათზე ხელდაკრეოილი გაბზარული ხმით ყვიროდა:

— მე ვთქვი „სიკვდილი ძროხებს?“ მე? ვა!

ნოქრებმა და ბავშვებმა დატუსაღებულ კრენკებილს სიცილი დაუარეს, მაგრამ ერთმა შავტანისამოსში გამოწყობილმა ცილინდროსანმა, სევდიანის სახის მოხუცმა, ხალხის წრე გაარღვია, პოლიციელს მიუახლოვდა და მიმართა მას მშვიდად, მაგრამ დამაჯერებელი ხმით:

— თქვენ შეცდით, ამ ადამიანს თქვენთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

— ნუ ერევით იმ საქმეში, რომელიც თქვენ არ შეგეზბათ, — უბასუხა პოლიციელმა, ხოლო მის დასაშინებლად არაერთიანი ზომებისთვის არ მიუმართავს, რადგან კარგად ჩაცმულ ადამიანს ელაპარაკებოდა.

მოხუცი დიდი სიმშვიდით არწმუნებდა. პოლიციელმა უბრძანა საქმის გამოსარკვევად კომისართან წაჰპოლოდა, კრენკებილი კი გაიძახოდა:

— მაშ მე ვთქვი „სიკვდილი ძროხებს?“ ვა!

გაკვირვებული მეწვანილე ამ სიტყვებს რომ იმეორებდა, მასთან ფესსაცმელის მკერავი ქალი ბეიარდი მივიდა, ხელში თოთხმეტი სუ ეჭირა. მაგრამ პოლიციელს № 64 კრენკებილისთვის უკვე ჩავივლო ხელი საყელოში და მიჰყავდა.

ბეიარდმა იფიქრა, როგორ შეიძლება ადამიანს რაიმე ემართოს ისეთი კაცის, რომელიც ციხეში მიჰყავთო, და თოთხმეტი სუ ჯიბეში ჩაუდო.

კრენკებილი უეცრად თავისი ურიკაც რომ დაინახა დატყვევებული, თავისუფლებადკარგულს ნიადაგრი გამოეცალა, მზე დაუბნელდა და წაილულლულა...

— ვერაფერი გამაგია...

კომისარის წინაშე მოხუცმა განაცხადა, რომ ის ეტლების თავისმოყრის გამო გზაზე შეჩერდა და ამ შემთხვევის მოწმე გახდა. პოლიციელისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ეს მოეჩვენა მას. მოწმემ დაუსახელა კომისარს თავისი ვინაობა და მდგომარეობა: დოქტორი დავით მათიო, ანბრუაზ პარეს საავადმყოფოს უფროსი ექიმი. სხვა დროს ასეთი დამოწმება კომისარისთვის საკმარის დამაჯერებელი იქნებოდა, მაგრამ იმ დროს საფრანგეთში სწავლულები საეჭვოდ იყვნენ მიჩნეულნი.

კრენკებილი, რომლის დატუსაღება დადასტურებული იქნა, ღამე გაატარა კომისარიატის სატუ-

სალოში, დილით კი სამარცხენო ეტლით მთავარ ციხეში გადაიყვანეს.

ციხე მას არც სატანჯველად, არც დამამცირებლად არ მოეჩვენა. მიიღო როგორც აუცილებლობა, იქ რომ მიიყვანეს, კრენკებილი გააოცა კედლებისა და იატაკის სისუფთავემ.

— სუფთა ადვილის მიხედვით ეს ძალიან სუფთა ადვილია, ჩემმა მზემ. პურის ჭამაც კი შეიძლება იატაკზე, — თქვა მან.

მარტო რომ დარჩა, სკამის გამოწვევა მოინდომა, მაგრამ ის კედელზე მიმაგრებული აღმოჩნდა. ამით გამოწვეული გაკვირვება ხმამაღლა გამოხატა:

— რა სასაცილო გამოგონებაა! ასეთ რამეს მე ვერასოდეს მოვიფიქრებდი.

დამჯდარი, უსაქმოდ დარჩენილი განცვიფრებას მისცემოდა. სინჯემ და მარტოობა აღონებდა, სევდამ შეიპყრო. შეწუხებული ფიქრობდა თავის დატყვევებულ ურიკაზე, რომელიც, საესე იყო კონბოსტო-სტაფილოთი და ნიახურით. შეშფოთებული ეკითხებოდა თავის თავს:

— სად ჩააჩხირეს ჩემი ურიკა?

მესამე დღეს მას ვეჭილი ლემერლი ეწვია, პარიზის ვეჭილთა შორის ყველაზე უფრო ახალგაზრდა, „ფრანგთა სამშობლოს ლიგის“ ერთერთი სექციის თავმჯდომარე.

კრენკებილი შეეცადა დამცველისთვის გაეცნო თავისი საქმე, მაგრამ ლაპარაკს დაუჩვეველისთვის ეს ადვილი არ იყო. ოდნავ რომ დაჰხმარებოდენ, ადამიანი შეიძლებდა მისგან რაიმე გაეგო. მაგრამ ვეჭილი ყველაფერზე, რასაც კი ის იტყოდა, თავს აქნევდა, ქალაქებს ფურცლადა და ჩურჩულებდა:

— არ მესმის, არ მესმის! ამის შესახებ საბუთებში ვერაფერს ვხედავ. — შემდეგ ოდნავ დალილიმა ქერა ულვაშების გრებით უთხრა:

— თქვენთვის უკეთესი იქნება, რომ დანაშაული აღიაროთ. ჩემი აზრით, დანაშაულის სრული უარყოფა თქვენმიერ უაღრესი გულუბრყვილობის შედეგია.

და ამის შემდეგ კრენკებილი ყველაფერში სცნო თავი დანაშავედ. ოღონდაც, თუკი იცოდა რა დააშავა.

2

კრენკებილი სასამართლოს წინაშე

თავმჯდომარე ბურიშმა კრენკებილის დაკითხვას სრული ექვსი წუთი მოანდომა. დაკითხვას საქმისათვის შეიძლება მეტი სინათლე მოეფინა, მას რომ მიცემულ კითხვებზე ებასუხა, მაგრამ კრენკებილი კამათს არ იყო დაჩვეული, თან ასეთ შეკრებულებაში მორიდება და შიში კრიჭას უკრავდა. ამიტომ იგი დუმილს არჩევდა და მის მაგიერად თვითონ თავმჯდომარე იძლეოდა გამანადგურებელ პასუხს. ბოლოს ასე დაასკვნა:

— მაშ თქვენ აღიარებთ, რომ თქვით: „სიკვდილი ძროხებს“.

— მე ვთქვი: „სიკვდილი ძროხებს“! რადგან ბატონმა პოლიციელმა თქვა: „სიკვდილი ძროხებს“.

მაშინ მე ვთქვი: „სიკვდილი ძროხებს“.

ამით მას იმის ახსნა უნდოდა, რომ მოულოდნელი ბრალდებით ვაოცებულმა, გონებაარეუღია გაიმეორა მხოლოდ სხვისი სიტყვები, რომელსაც შეცდომით ნათქვამად თვლიდენ.

თავმჯდომარე ზურიშმა ასე არ გაიგო.

— თქვენ გგონიათ, — თქვა მან, — რომ პოლიციელმა ეს პირველად წამოიძახა.

კრენკებილმა განმარტების მიცემაზე უარი თქვა, რადგან ეს მის ძალას აღემატებოდა.

— თქვენ არ ამტკიცებთ. გონიერად იტყვიეთ. — მოუწონა თავმჯდომარემ.

ძოწმეები გამოიძახა.

პოლიციელმა № 64, გვარად ბასტიენ მატრამ, დაიფიცა, რომ მხოლოდ სიმართლეს იტყვის და გარდა სიმართლისა არაფერს წარმოთქვამს. შემდეგ მათ ასეთი ჩვენება მისცა:

— 20 ოქტომბერს, სამსახურის შესრულებისას, დღის პირველ საათზე შევნიშნე ერთი პიროვნება, რომელიც მივიღე ფეხზე მოვაჭრედ. მან თავისი ურიკა გააჩერა 328 ნომერთან, რამაც ეტლების თავისმოყრა გამოიწვია, სამჯერ ვუბრძანე გაიარე-მეთქი. არ დამემორჩილა. როდესაც გავაფრთხილე ოქმს შევიდგენ-მეთქი, ყვირილით მიპასუხა: „სიკვდილი ძროხებს“, რაც მე შეურაცხყოფად მივიღე.

მტკიცე და ზომიერი ხმით თქმული ეს ჩვენება სასამართლომ აშკარა კეთილგანწყობილებით მოისმინა. დამცველმა მხარემ გამოიძახა მადამ ბეიარდი ფენსაცმელის მეკრავი და ანბრუაზ პარეს სავადმყოფოს უფროსი ექიმი დავით მათიო. მადამ ბეიარდს არაფერი დაუნახვს, არც გაუგონია. დოქტორი მათიო შემთხვევის აღვილას შეკრებილ ხალხში იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც პოლიციელი ვაჭარს უბრძანებდა წინ წასულიყო.

ექიმის ჩვენებამ შეტყუება გამოიწვია.

— ამ ამბის მოწმე ვიყავი, — თქვა მან, — და შევნიშნე, რომ პოლიციელი შეცდა, მისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ.

მივუახლოვდი და ეს აეხსენი. პოლიციელმა ვაჭარი დაატუსაღა და მთხოვა კომისარიატში გავყოლოდი. დავეთანხმე. კომისრის წინაშე მე იგივე გავიმეორე.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, — უთხრა თავმჯდომარემ. — სასამართლოს ბოქაულო, დაუძახეთ მოწმე მატრას. მატრავ, როდესაც ბრალდებულს ატუსაღებდით, დოქტორმა მათიომ არ მიგიითხათ, რომ თქვენ ცდებოდით?

— ესე იგი, ბატონო თავმჯდომარე, მან შეურაცხყოფა მომაყენა.

— რა გითხრათ?

— მითხრა: „სიკვდილი ძროხებს“.

დარბაზში სიცილი და ხმაურობა ატყდა.

— შეგიძლიათ წაბრძანდეთ, — აჩქარებდით თქვენ თავმჯდომარემ.

საზოგადოებას კი დარბაზიდან გაძევებას დაემუქრა იმ შემთხვევაში თუ კიდევ გაიმეორებდა ასეთ თავშეუკავებლად გრძნობების გამოხატვას. დამცველი ამ დროს გამარჯვებულივით აქნევდა თავის კაბის სახელოებს, და ხალხი ფიქრობდა, რომ კრენკებილს გაამართლებდენ.

სიჩუმე რომ ჩამოეარდა, ვეჭილი ლემერლი წამოდგა. თავისი სიტყვა პოლიციის თანამშრომლების შექებით დაიწყო: საზოგადოების ეს თავდაბალი მსახურნი ყბადასაღები ჯამაგირისთვის იქანცებიან და თავს საფრთხეში იგდებენ. ისინი ძველი ჯარის კაცები არიან და რჩებიან ამაღ. ჯარისკაცი, ეს სიტყვა ყველაფერს ამბობს...“

და ვეჭილი ლემერლი სამხედრო ქველობას შეეხო. იმათ რიცხვს ვეკუთვნიო, — თქვა მან, — რომლებიც ნებას არავის მისცემენ ლაშქარს შეეხოს, ამ ეროვნულ ლაშქარს!“ და ამ ლაშქრის რიგებში ყოფნით თვითონაც ამაყოფა.

თავმჯდომარემ თავი დახარა.

ვეჭილი ლემერლი მარქათის ლეიტენანტი იყო. ითვლებოდა აგრეთვე ნაციონალისტთა კანდიდატად ვიეი-ოდრიეტის უბანში.

ის განავრძობდა:

— არა, რასაკვირველია, ვერ დავივიწყებ ძვირფას და უჩინარ სამსახურს, რომელსაც უწევენ ყოველდღიურად მშვიდობიანობის მცველნი პარიზის მხნე მოსახლეობას. კრენკებილის დაცვაზე არ დავთანხმდებოდი, მასში რომ ძველი ჯარისკაცის შეურაცხყოფელს ვხედავდე. ჩემს კლიენტს ბრალს სდებენ, თითქო მას ეთქვას: „სიკვდილი ძროხებს“. ამ სიტყვების აზრი ეტყვებს არ ბადებს. თუ თქვენ ფრანგული ხალხური გამოთქმების ლექსიკონს გადაფურცლავთ, იქ წაიკითხავთ: „ძროხა-ადამიანი ნიშნავს ზარმაც, ზანტს, რომელიც მუშაობის მაგიერ ძროხასავით ზოზინებს. ძროხა ნიშნავს აგრეთვე ჯაშუსს, რომელიც პოლიციას თავს მიჰყიდის“. ახლა ასეთი კითხვა დგას: რა შინაარსით იხმარა კრენკებილმა ეს სიტყვა? ან კი თქვა, განა? ნება მომეცით ბატონებო, ამაში შევეჭვდე. პოლიციელ მატრას არაფერი ცუდი არ მინდა შევწამო. მაგრამ ის ასრულებს, როგორც უკვე მოგახსენეთ, მძიმე მოვალეობას და ზოგჯერ არის უზომოდ დაღლილი, დაქანცული, ასეთ მდგომარეობაში შეიძლებოდა ეს გინება მოჰსმოდა. და, ბატონებო, როდესაც ის იმასაც კი აცხადებს, რომ ანბრუაზ პარეს სავადმყოფოს უფროსმა ექიმმა, მეცნიერების მნათობმა, დოქტორმა დავით მათიომაც დაუძახა „სიკვდილი ძროხებსო“, ჩვენ იძულებული ვართ აღვიაროთ, რომ მატრა დევნის მანიით არის შეპყრობილი. კიდევაც რომ დაეძახოს კრენკებილს „სიკვდილი ძროხებს“, გამოსარ-

კვეცი რჩება: აქვს თუ არა მის ნათქვამს ბოროტ-მოქმედების ხასიათი. კრენკებილი ლოთად არის დაბადებული და თქვენ წინ დგას სამოცი წლის სი-ღარიბით დაჩლუნგებული. ბატონებო, თქვენ იტყვიან, რომ ასეთ კაცს პასუხი არ მოეთხოვება“.

ვექილი ლეძერლი დაბრძანდა და თავმჯდომარე ბურიშმა პირგაუღებლად წაიკითხა დადგენილება, რომლითაც ჟერომ კრენკებლის მიუსაჯა ხუთმეტრი დღის ციხე და ჯარიმა — ორმოცდაათი ფრანკი ასეთი განაჩენი სასამართლომ პოლიციელ მატრას ჩვენების საფუძველზე გამოიტანა.

სასახლის ბნელ დერეფანში მომავალ კრენკებლის უდიდესი სურვილი აღეძრა, რომ ვინმესგან თანა-გრძნობა მოესმინა. თავის წამომყვან პარიზის მცვე-ლებს მიუბრუნდა და სამჯერ დაუძახა:

— პოლიციელო! პოლიციელო! ჰეი, პოლიციე-ლო — და ამოიოხრა.

— მხოლოდ ხუთმეტრი დღე გავიდა. ჩემთვის ვინ-მეს რომ ეთქვა ეს დაგემართებო, რაც მემარ-თება...

შემდეგ ასეთი აზრი გამოთქვა:

— მეტად ჩქარა ლაპარაკობენ ეს ბატონები. ისინი კარგად ლაპარაკობენ, მაგრამ მეტად ჩქარა ლაპა-რაკობენ. შეუძლებელია, რომ მათ რამე გააგე-ბინო... პოლიციელო, თქვენ არ ფიქრობთ, რომ ისინი მეტად ჩქარა ლაპარაკობენ?

მაგრამ ჯარისკაცები პასუხისგაუცემლად განაგ-რძობდნენ ვზას, თავიც არ მოუბრუნებიათ.

კრენკებილი შეეკითხა:

— პასუხს რატომ არ მაძლევთ?

ჯარისკაცი ღუმილს განაგრძობდა. გამწარებულ-მა კრენკებლინა უთხრა:

— ძალსაც კი ელაპარაკებიან. თქვენ რატომ არ შელაპარაკებით? თქვენ როდისმე პირს ალებთ? იმის ხომ არ გეშინიათ, რომ ის ყარს.

ანატოლ ფრანსი

თარგმანი ფრანგულიდან ირ. ქავუარაძის მიერ

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

„პიონერის“ რედაქციისა და ავსტორისაგან

ამ მოთხრობის მთავარი მასალებია ხალხური შემოქმედება — ფოლკლორი. ხალხის მიერ უამრავი თქმუ-ლება, მოსწრებული სიტყვები და ანეგდოტებია შეთხზული. ბევრი მათგანი ჭკუამახვილურია და საინტერესო...

ჩვენი ცდაა გამოვიყენოთ ეს ხალხური განძი და მივაწოდოთ ჩვენს მკითხველებს იოლი და გასაგები ფორმით. „პიონერის“ რედაქცია სთხოვს მკითხველებს თვითონაც აიღონ ინიციატივა და მოგვაწო-ღონ ამ სახის მასალები, რომლებსაც რედაქცია დაბეჭდავს.

ლევარსი როსროსაკე

თავი პირველი

ლევარსის დაბადება

ჩვენ პირდაპირ შევუდგებოდით ამ იშვიათი ადა-მიანის თავგადასავალის თხრობას, მაგრამ სჯობს თვითონ ლევარსის მოვუსმინოთ.

„დავიბადე უკულმა. მამაჩემმა ჩემს დაბადებაზე, როგორც ეს ჩვეულებად იყო გურიაში, მაჭახელა გაისროლა და მოკლა ბებია, რომელიც ვერ შეამჩნია სიბნელეში. ამ ამბავმა დიდი მწუხარება გამოიწვია ოჯახში. ცუდის მომასწავებელი ეგონათ ეს უბედური შემთხვევა. მაგრამ შემოქმედის მონასტრიდან მო-სულმა ბერმა, ეს მოვლენა, პირიქით, ბედნიერების მომასწავებლად მიიჩნია — ახალდაბადებული სახე-ლოვანი კაცი გამოვაო.“

— ჰეროსტრატემ უმშვენიერესი ტაძარი დაწვა. სწორედ იმ ღამეს დაიბადა ალექსანდრე მაკედონე-ლი, რომელმაც შემდგომ ისევ ალადგინა დამწვარი! — გააბნენვა და ანუგეშა ბერმა ჩვენები.

მაგრამ ვინ „ალადგენდა“ ბებიას, — ამის შესა-ხებ მას არაფერი უთქვამს.“

აი, მხოლოდ ეს ვიცით ჩვენი გმირის დაბადების შესახებ. აწი კი გავეცნოთ მისი თავგადასავალის აპბებს.

პირველი ნაღირობა

ახალგაზრდა ლევარსი მუდამ იმაზე ფიქრობდა, რომ სახელოვანი მონადირე გამხდარიყო. ხშირად დადიოდა ტყეში სანადიროდ, მაგრამ ყოველთვის ხელცარიელი ბრუნდებოდა შინ.

ერთ დღეს მშვენიერმა აზრმა გაუელვა.

სახლში ბლომათ ჰყავდათ შინაური კურდღლები. დილით გათენებისას მან აისხა იარაღი და ტყეში წაიყვანა ორი შინაური კურდღელი. როცა სოფელს



დიდ მანძილზე მოშორდა, კურდღლები ხეზე მიიბა, აუკრა თვალი და მოკლა, შემდეგ გადიკიდა მხარზე და ჩამოვიდა სოფელში. სოფლის ყმაწვილები დაედევნენ მას და სახლამდის მიაცილეს ჟივილ-ხივილით. ამის შემდეგ სოფელმა შეიცვალა აზრი ლევარსის შესახებ, და შეწყდა დაცინვა. ამ გარამოებამ ლევარსი უფრო გაამხნევა და შეუდგა დათვებზე ნადირობას.

მკვდარი დათვის მოკვლა

ტყეში უკვე სიბნელე შემოიპარა, როცა ლევარსიმ წიფელი მოკრა და შეუდგა მორის დაპობას. სანახევროთ იქნებოდა მორი ვაპობილი, რომ პალოზე ცემის დროს ურო გატყდა. ბევრი ეცადა, რომ ნახევრადვაპობილი მორიდან პალო ამოეღო, მაგრამ ვერ შეძლო.

ამასობაში საკმაოდ დაბნელდა, და ლევარსი სოფლისკენ დაეშვა.

მეორე დღეს ადრე წავიდა ლევარსი ტყეში შესის დასაპობად. თანაც ურემი წაიყვანა შესის წამოსაღებად.

მიუახლოვდა თუ არა სამუშაო ადგილს, დაინახა, რომ მის გამოჭრილ მორზე დათვი უძრავად იწვა. თმა ყალყზე დაუდგა.

— ალბათ წიწიბოთი გაძლა და სძინავს! — გაიფიქრა მან და ურემი ბუჩქებში დააყენა, თვითონ აცოცდა ხეზე და დააპირა ხიდან დათვისთვის ესროლა, მაგრამ...

— რომ დავაცილო ტყვია, დამინახავს და ხეზე ამოვა, ვერსად გავიქცევი! — შეეშინდა ლევარსის და ისევ ძირს ჩამოვიდა.

— ჩანს, მაგრად სძინავს. წავებარები და ცულს დავარტყამ თავში. ცული უფრო საიმედოა! — მაგრამ ამის გაფიქრებაზედაც შიშისაგან ტანში შეაჟრჟოლა.

ბუჩქებში გადამალულმა ხარებმა იბღაველეს, მობეზრდათ ერთ ალაგას დგომა, ისიც ურემში გაბმული.

— დავილუპე, დათვი გამოიღვიძებს და შეგვჭამს! — გაიფიქრა ლევარსიმ და ურემთან მივარდა. ბაწრით მაგრათ შეუკრა ხარებს პირი, რომ ბღაველი ვერ შეძლებოდათ. შემდეგ ხოხვით შეძვრა ეკალვარდის გაუვალ ბუჩქებში და დათვს მიუახლოვდა. ეკალბარდისაგან სახე ისე დაეკაწრა, რომ სისხლი სდიოდა, მაგრამ შიშისაგან ტკივილს ვერ გრძნობდა.

დათვი ისევ უძრავად იდგა მორზე.

ლევარსიმ შენიშნა, რომ მორში დატოვებული პალო ამოვარდნილი იყო. დათვს თვალები დახუჭული ჰქონდა და არ სუნთქავდა. ამ გარემოებამ ლევარსი გაამხნევა. იგი გამოძვრა და დათვს მიუახლოვდა. მომარჯვებული ცული ძალუშად დაარტყა თავში და ისევ შევარდა ეკალბარდში, საიდანაც დაუმიზნა თოფი და ესროლა.

დათვი ისევ უძრავად იწვა.

— ალბათ მკვდარია! — გამხნევდა ლევარსი, ისევ გამოძვრა და მიუახლოვდა. ფრთხილად აიღო მორიდან ამოვარდნილი პალო, რომელსაც ყველგან აჩნდა

დათვის კბილები. ლევარსი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რაშია იყო საქმე: დათვი მართლაც გამძღარიყო წიწიბოთი. თავის შესაქცევად თამაში დაეწყო მორში გაკედილი პალოსთვის. ღრენისაგან პალო ნახევრად-გაპობილი მორისაგან ამოვარდნილიყო, მუცელი მოკყოლოდა დათვს გაპობილ მორში და მომკვდარიყო.

ლევარსის არასდროს უკრძნია ასეთი სიხარული. მან გარშემო მიმოიხედა — ხომ არავენ მიცქერისო — და შემდეგ სიხარულისაგან ცეკვით ჩამოუარა მოკლულ დათვს და ბოლოს კიდევ აკოცა.

დათვი მორიდან გადმოაგდო და საფულდაგულოდ გასინჯა. არსად აჩნდა ნატყვიარი.

— დამიცილებია! — თქვა მან და თოფი მოიმარჯვა.

ახლა კი ტყვია მკერდში მოხვდა მკვდარ დათვს. ლევარსიმ დათვი ურემზე დადვა და მაშინვე სოფლისკენ წამოვიდა.

ყველა მონადირეთა სიხარული რომ შეეგაროვოთ, აი იმოდენა სიხარული ჰქონდა ლევარსის გულში.

მთელი სოფელი ფეხზე დადვა...

— რაფერ მოკალი, ლევარსი, ამხელა დათვი? — ეკითხებოდნენ სოფლელები.

— ჩუნიას რომ გავშორდი, დავინახე, დათვი მოძუნძულებს ჩემკენ. გზა ისე ვიწრო იყო, რომ ურმის უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. მეტი საშუალება აღარ იყო. ვესროლე ურმიდან თოფი და აი აგერ გავარტყი მკერდში! — და ლევარსიმ სოფლელებს უჩვენა დათვის მკერდზე ნატყვიარი. — დაიჭრა, მარა არ შედრკა და გაბრაზებული ჩემკენ გამოექანა. ხარები არ შემიჭამოს მეთქი, და გადავხტი ურმიდან ცულით პირდაპირ შესახვედრად. მოუქნიე ცული მარა თათით აიშორა და გამაგდებინა ხელიდან. შეგვექნა ხელჩართული ბრძოლა. აი ხომ ხედავ, სახე როგორ დამიკაწრა ამ ოხერმა! ბოლოს ერთი მაგრად მკრა



თათი და მიმაგდო იმ ალაგას, სადაც ცული ეგდო. თვითონ კი ხარებისკენ გაექანა. დრო ვიხელთე, დავავლე ცულს ხელი, დავეწიე და დავკარი თავში. ერთი კი დაიღრიალა, მარა წაიქცა და მოკვდა. მერმე დავატანე ხელი, დავაგდე ურემზე და, აი, სოფელში ჩამოვიტანე! — დაამთავრა ლევარსიმ.

ყველამ დაიჯერა ლევარსის სიტყვები.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გაუარდა სახელი ხალხში.

ი. ხინჭალი

მსავ ნენი

მომეწყინა სახლში ყოფნა,
თამაში და რბენა მინდვრად;
ვითვლი დღეებს, აღარ მიდის,
ახლა ისევ სკოლა მინდა!

ვუალერსებ ჩემს მეგობრებს:
წვერცანცარას, ხბოს და ბატკნებს;
ვატყობ, თითქოს მომბეზრდაო,
აღარ იწვევს გული მათკენ.

ლეკვიც მალე გაიზარდა,
დადინჯდა და კუდს არ იქნევს...
რა ვქნა, როდის გადავფურცლაგ,
სურათიან ახალ წიგნებს!

ყოველ დღით ვბანაობ და
მწიფე ხილიც მიწვევს ხიდან.
თითქოს იგიც მომბეზრდაო,
ახლა ისევ სკოლა მინდა!

კარგი არის ეს ზაფხული,
ხალისით და გრძნობით სავსე,
მაგრამ მაინც დღეებს ვითვლი:
როდის ვნახავ სკოლის ბავშვებს?!

კარგი არის ეს გართობაც,
გადარბენა სერებს იქით,
მაგრამ, რა ვქნა, მომენატრა
ისევ სკოლა, ისევ წიგნი!!

სანდრო ჟენტი

III

— ეს ყველაფერი მართალია! — წამოიძახა ველობოტი უშნო მეზობელმა. — მე იმ ღამეს არ მიმუშავია, რადგან გემი შორს იყო, მაგრამ მაინც ნაპირზე ვიდექი გამზადებული და ყველაფერს ვცედავდი.

— თქვენ კი გადაგიჩინიათ ვინმე? — ვეკითხებოდით უშნოს.

— როგორ არა, არც მე ვდგავარ უნაყოფოდ. თუ გინდა გაიმბობთ ერთ მაგალითს, როცა ჩვენ ორივემ გადავიჩინეთ ოცდარვა კაცი.

— გვიამბეთ, გვიამბეთ, ძალიან საინტერესოა! — ვთხოვეთ ჩვენ.


— თენდებოდა, როცა მოგვესმა ჩვენი ზარის ხმა. გაიღო კარები, და ორი ცხენი ხელათ შეაბეს ჩემს ურემში. ამავე წამს ჩემი მეგობარი ველობოტი ჩაუშვეს წყალში. ჩვენ საჩქაროთ გავედით „ნაბადასთან“. აქედან ორას მეტრზე ჩანს გემი „პეტრე კარპოვი“. წინა დღეს ფოთიდან გავიდა მადნით დატვირთული გემი დალუპულია, მთის სიმაღლე ტალღები ეჯახებიან ყოველს მხრიდან. ტალღები ყველაფერს გლეჯს, რაც კი შეხვდება, და ზღვაში მიაქვს, გემის ავეჯი,

თოკები, ნავები დიდხანია დამტვრეულა. საცოდავი ხალხი ებლაუტება ყველაფერს, რაც ზევით არის ამოწეული, ზოგი კაპიტანის ბოგირს, ზოგი დირეკების მავთულებს — ყველა დასველებულია, მთელი ღამე გაატარეს ასე. ხალხს თანდათან ელევა ძალა, აი მოდის უზარმაზარი ტალღა, — ამას მეზღვაურები მეცხრე ტალღას უძახიან, — მოდის ეს მეცხრე ტალღა, ეცემა გემს და აკვანივით არწევს. გემი შიშნება, ტალღა მას ვერ სწევს ზევით, მხოლოდ ადგილზევე აქანაუებს. გემი კენესის. დირეკები ისე ინჯღრევა, რომ საცოდავებს მთელი ძალღონე სჭირდებათ — პანტასავით არ გადმოსცივიდენ ზღვაში.

დირეკები ისე ინჯღრევა, რომ სასწაულია, ამდენხანს როგორ გაძლეს, რომ დამტერი მავთულები არ დაწყდა და წყალში არ გადაცვიდენ ზედ შეფარებული ხალხით.

ვხედავ, ხალხი ისე სუსტდება, რომ დიდხანს ვერ გაძლებს.

— „შშშ—ბუმ“ — გაისმა ჩვენი შუშხუნის ხმა და გემისკენ გაექანა. შუშხუნას უკან გაყვა გველივით დაკლაკინილი წვრილი ბაწარი.



გავიდა წუთი, და ჩვენმა შუშუნამ გადაიარა გემი და წყალში ჩავარდა. იმავე წამს სიხარულის ყვირილი მოისმა გემიდან. თოკი შუა გემბანზე გადასროლილი დარჩა. უფროსი ღურბინდით უყურებს გემს, ერთი მეზღვაური დაეშვა ვანტებიდან,* დაუცადა დიდი ტალღის გავლას და გაბედულად გაიქცა თოკისაკენ, ჩავლო ხელი და ბოგირისაკენ გაეშურა. კიბემდის რომ მივიდა, თავზე უშველებელი ტალღა დაეცა. მეზღვაურმა მოასწრო მოაჯირზე თოკის შემოხვევა. დანარჩენიც მიეხმარნენ. თოკი მოსწიეს. წვრილმა თოკმა მომსხო აათრია გემზე, მომსხომ კი ბაგირი. ბაგირი ადგილებზე დააბეს. მზადაა გზა. ვხედავთ, ერთი ჯდება შალვარში. ჩემგან ბეჯითად ეწვეიან ბაგირს. გამოსრიალდა პირველი „მოგზაური“ შუაგზაზე ტალღამ აბანაყა, მაგრამ ეს მხოლოდ სიცილს იწვევს, საშიში არაფერია. პირველი „მოგზაური“ მოსამსახურე ქალი იყო. გამოვიდა თუ არა, მისი პირველი სიტყვა იყო: „გთხოვენ უჩქაროთ, დირეკები დიდხანს ვერ გაძლებენ. ვანტები წყდება“.

— რამდენი ხართ გემზე?

— ოცდარვა-და ქალს გული შეუღონდა, წაქეზება საჭირო არ იყო, ყველა გრძნობდა პასუხისმგებლობას.



ლონემიხდილი ქალი ექიმს გადასცეს. მოდის მეორე, ისიც იმეორებს გაჭირვების ამბავს; მოდის მესამე, მეოთხე, მეხუთე. მეხუთე გვეუბნება:

„ერთი მხრით ორი ვანტი გაწყდა, ერთი დიდი ტალღაც და დირეკი წაიქცევა“.

მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე. წამოვიდა მეათეც. შუაგზამდის მოაწია. ამ დროს მთასავით წამოვიდა მეცხრე ტალღა, მოვიდა და ზღვაგვიით დაეცა უმწიო გემს. გაისმა აჟურელი გრილი, და ჩვენი ჰაერის გზაც და მეთათე მოგზაურიც წყალში დაიმაღლნენ.

— ხელი არ გააჩეროთ, მოსწით მალე, არ დაიხრჩოს! — შესძახა ხელმძღვანელმა. ორი წუთის შემდეგ ის მეთათე გამოვიყვანეთ. როცა ტალღამ გადაიარა, დაინახეთ, რომ არც დირეკები, არც საკვამლური აღარ იყო თავის ადგილზე. კაპიტანის ბოგირზე ჩანდა ხალხი. ეს იყო ერთად-ერთი ამადლე-

* დირეკის დამჭერი მავთული.

ბული ადგილი, სადაც კიდევ შეიძლებოდა ბრძოლა სტიქიონთან. ღურბინდით დათვალეს თვრაგეტი კაცი. ჯერ ყველა ცოცხალია, მაგრამ როდემდის გაუძლებენ ტალღებს?

მე უკვე ვეღარ ვეშველებოდი, რადგან დასაბმელი ადგილი აღარ იყო. ამიტომ ჩვენ დარაჯები დაეტოვეთ და ნავსადგურისკენ გაეწიეთ. ახლა მხოლოდ ვეღბოტის იმედით დარჩა ხალხი გემზე და, დე, დანარჩენი მან გიამბოთ.

IV

— დიახ, ჩემი იმედით დარჩა გემზე ხალხი, დაიწყო ვეღბოტმა.— მაშინვე ცხრა საუკეთესო მეზღვაური ჩამოხტა, მიმაბეს გემ „გრიოზას“ და გავედით ზღვაში. ზღვის აწერით არ მოგაბეზრებთ თავს, რადგან ჩემმა მეგობარმა საკმარისად აწერა ის. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ გემზე დარჩენილთათვის სიცოცხლის წამები დათვლილი იყო. ამისთვის ჩვენც არ ვზოგავდით არც ძალღონეს, არც ცოდნას და არც გაბედულობას. „გრიოზამ“ ექვსას მეტრზე მიგვიყვანა დალუპულ გემთან, ამაზე ახლო მისვლა შეუძლებელი იყო, რადგან ცოტა მანძილი დარჩა და შესაძლებელი იყო „გრიოზაც“ დალუპულიყო. აქედან დავეშვით ხოპებით. „გრიოზიდან“ მიგვექონდა თოკი, რომლის მოწვევით უკან უნდა მოგვიყვანოს „გრიოზამ“.

ექვსასი მეტრი პატარა მანძილია წყნარ დარში, მაგრამ ეს თითქმის დაუძლეველი მანძილია, როცა ზღვა ბობოქრობს. მივლივართ გემის მიმართულებით, მაგრამ ნახევარი მანძილიც კი ვერ გავიარეთ. ექვსი მძლავრი მეზღვაური ხოპებს უსვამთ: ერთიც საჭეს უმართავს და ორი წყალს ასხამს, მაგრამ ტალღები იჭერს გამობმულ თოკს და გემის მაგივრად ნაპირისაკენ გვერეკება. ახალგაზრდებს მომეტებული ძაბვისგან ცხვირიდან სისხლი წასკდათ, მაგრამ მაინც ვერ დავსძლიეთ. მივეცი თ ნიშანი, და „გრიოზამ“ ისევ თავისკენ წაგვართია. სამჯერ ვცადეთ გემთან მისვლა, მაგრამ ვერაფერს გავხდით, გემზე კი წუთებით ითვლიან სიცოცხლეს. მეოთხედ ცდა აღარ ღირდა, ხალხი დაქანცული იყო. ამოილო „გრიოზამ“ ღუზა და ნავსადგურისკენ წავედით. წარმოიდგინეთ იმ უბედურთა მდგომარეობა, როცა დაინახეს, რომ მათ თავს ვანებებთ, მაგრამ მეზღვაური არასოდეს არ მიანებებს თავს უბედურებაში ჩავარდნილ ამხანაგს: ან თითონაც მოკვდება, ან ამხანაგს გადაარჩენს. არც ჩემი ახალგაზრდები აპირებდნენ გემზე დარჩენილთა დატოვებას უპატრონოდ. შევედით ნავსადგურში, მაშინვე დაიწყეს წვრილი თოკის ჩალაგება ჩემს ფსკერზე, ჩამოუშვეს ხუთას მეტრამდის, ორი ამოდენაც „გრიოზაზე“ დატოვეს, მერე ჩემი ცხრა ყმაწვილი ისევ „გრიოზაზე“ გაქანდა. ზღვაში მივუახლოვდით და ტალღიდან გაქანებული დავეშვით გემისკენ. ჯერ „გრიოზიდან“ უშვებდნენ თოკს და როდესაც დაინახეს, რომ ტალღები

იქერს თოკს, ჩვენ მაშინვე გაუშვით; ექვსს მე მიგყავარ, ორი თოკს უშვებს და ერთიც საჭეს მართავს. გავიმარჯვეთ, ტალღა ვერ ასწრებს თოკის მოტაცებას.

აი ოცი მეტრის მანძილზე მივედით გემთან, ამაზე ახლო ვერ მივალთ: მიგვამტვრევს. გავჩერდით. ტალღები ბურთივით გვისვრის. ყველაზე ღონიერი ანდრო შეეცადა კანაფის მოწვევას გემზე, მაგრამ ვერ სძლია მანძილი. გემიდან მაშინვე გამოაგდეს სამი თოკი ერთად; ერთი მათგანი მოგვწვდა, და გავებით გემსა და ნავს შუა, ზედ მოვაბით საცობის რკალი. გემზე იცვამს ერთი რგოლს და რაც შეიძლება შორს ხტება. ჩვენი ყმაწვილები ეწვეიან ნავისაკენ, ჩამოსვამენ ნავში, რკალს კი გემზე გზავნიან, ასე თუმცა გაწუწულები, მაგრამ გახარებულნი სათითაოდ გამოვიყვანეთ თექვსმეტი მეზღვაური. დარჩენ კაპიტანი და მისი ცოლი, რომელმაც უქმროდ არ მოინდომა გადმოსვლა. ეს ორი გადაეხვია ერთმანეთს და გადმოხტა წყალში. ძლივს ამოვიყვანეთ. მივეცი თნიშანი, თოკი გაიჭიმა, და „გრიობა“ თავისკენ

წაგვათრია. ზოგს ბრჩილებიდან სისხლი სდიოდა, ზოგს პირიდანაც. გადარჩენილები ისე დასუსტებულნი იყვნენ, რომ ტომარებივით ჩაწვენ ფსკერში. თითო ჭიქა არაყმა ცოტა გაათბო ისინი. ჩვენ დიდ სიხარულს განვიციდით, ჩვენ იმდენი ვშირობა გამოვიჩინეთ, რომ არც ერთი ადამიანი ზღვას არ დაგუთმეთ. გამოვბრუნდით და ნახევარი გზაც არ გავგველო, რომ გულშემზარავი ხმაური მოისმა. ვეებერთელა გემი მეცხრე ტალღამ ჩაყლაპა.

აი, ჩემო მეგობრებო, მე ვიამბეთ მხოლოდ მცირედი ნაწილი ჩვენი მუშაობისა. თუ გინდათ გაიგოთ რას აკეთებენ ცოცხლებო, მიმართეთ წყალდამსახის წევრებს და ისინი გეტყვიან. მე კი დაებერდი, მარტო მოსამზადებელი ვარჯიშობისათვის და სეირნობისათვის ვარგვივარ, მაგრამ სარგებლობა მინც მომაქვს.

აი, მაგალითად, გუშინ გავიგე, რომ ჩემი თავი ფოთმა ტფილისს აჩუქა.

კაკა ლაღო

ფრიალოსანი ელიკო

„ღეღა არ მახსოვს, მამამ დამტოვა. უპატრონოდ მიტოვებული ბავშვი ნათესავებს შევებრალე. ხან ერთთან ვათევიდი ღამეს და ხან მეორესთან. მეც გავბეზრდი ამდენი თრევით. იმათაც თავი მოვაბეზრე. ვცადე სადმე წასვლა, გაპარვა, მაგრამ ვერ გავბედე, ვერ მოვახერხე. სკოლა შეეცადა ჩემთვის რაიმე დახმარება აღმოეჩინა და აი აქ გამომგზავნეს. აქ ხომ საბავშვო სახლია? ინებეთ ეს ქალაქი“ — და აწვდის ერთი პატარა ცუგრუმელა, ბავშვი საბავშვო სახლის დირექტორს. „ბავშვთა

ბავშვებმა... წიგნები გვაქვს, იკითხავ, თავის დროზე კიდევ ითამაშებ. შენ ფეხსაცმელი არ გქონია, ახალს მოგცემთ, ტანსაცმელსაც გამოგიცვლით, მხოლოდ უნდა გაუფრთხილდე. სასწავლო ნივთები არ უნდა გააფუჭო.

— არა დეიდა არ გავაფუჭებ... —

რისთვის დგებიან რიგში ბავშვები? სადმე ხომ არ მიდიან? — ეკითხება ელიკო მორიგე ხელმძღვანელს.

— არა, ახლა 12 საათია და საუზმე უნდა მიიღონ. სასადილოში ჩავლენ.

— აბა, შენც წამოდი, მათთან ჩადექი, ისაუზმებ.

— ელიკოს ვერ წარმოედგინა ამდენი ბავშვების ერთად შეკრეფა და ასეთი სიჩუმე.

— მას როგორც სხვებს მოუტანეს საუზმე... უტეხო სტუმარი თვალს ერთ ადგილას ვერ აჩერებს. ხან რას გადახედავს და ხან რას. მისმა მკვირცხლმა თვალებმა სათითაოდ აათვარიელა თვითეული აღსაზრდელი, თანაც მადიანად ილუკებდა. ჭამის დროს სიჩქარე ეტყობა. აღმზრდელი არიგებს, უხსნის, რომ ჩქარა ჭამა მავნებელია. ელიკომ გვერდზე მჯდომ ამხანაგებთანაც მოინდომა გადალაპარაკება, მაგრამ აქაც ხელმძღვანელი უთითებს კედელზე გაკრულ წარწერისაკენ. ელიკომ თვალი გადაავლო წარწერას და თავი ოდნავ დახარა. სიწითლაც დაეტყო. შეტრცხვა და იმის ნიშანი იყო.

— აბა, ელიკო, წაიკითხე, რაც წერია იმ ქალაქზე? ხმამალა.

— ქართული წარწერა წავიკითხო თუ რუსული?

— რომელიც, გინდა.



მეგობრის“ საზოგადოებიდან მოწერილობას, რომ ელიკო ნადოლსკაია მიღებულ იქნას აღსაზრდელად.

— თქვენი სახელი? — ეკითხება მორიგე აღმზრდელი.

— ელიკო.

— გვარი?

— ნადოლსკაია.

— ასე კარგათ საიდან იცით ქართული ლაპარაკი?

— მე ქართულ სკოლაში ვსწავლობ. ტფილისში ვარ დაბადებული. როგორც ქართული, ისე ვიცი რუსულიც.

— სასიამოვნოა. მაშ კარგი, შენ აქ დარჩები, ჩვენთან იცხოვრებ, გაცნობი აქაურ ბავშვებს, დაუმგობრდები მათ. კარგი ამხანაგობა იციან ჩვენმა

— რუსულად წავიკითხავ, ლექსად გამოდის, მე ლექსი მიყვარს. ხანდა ხან მეც ვწერ ლექსებს.

— მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ახლა წაიკითხე.

— „Когда я ем, я глух и нем“. — კითხულობს ბავშვი...

— აი, ხომ ხედავ, ეს იცინა ჩვენმა ბავშვებმაც და ამიტომაც ასე სიჩუმე ჩვენთან ჭამის დროს.

— მეც მეცოდინება, დავიმახსოვრებ, არ დავარღვევ თქვენ წესრიგს. პირობა მისცა დარცხვენით ხმით აღმზრდელ მასწავლებელს ახლადმოსულმა ბავშვმა.

საუბრის გათავების შემდეგ ბავშვები აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ. ზოგმა წიგნებს მიაშურა, ზოგი წერას შეუდგა. პატარები კი თავისი სათამაშოებისაკენ გაქანდნენ. ელიკო აღმზრდელის შორი-ახლო დგას, თითქო რაღაც განკარგულებას უცდისო.

— ელიკო, შენ ახლა ჩვენი ხარ. მიდი ბავშვებთან, ვინც მაცადინებ, იმათ ხელს ნუ შეუშლი, ვინც თავისუფლად არის, იმათთან შეგიძლია ლაპარაკი და, თუ ვინდა, თამაშიც. როცა განსაზღვრულ საათებში ყველას სამაცადინოდ და წრეში სამუშაოდ დაუძახებთ, შენც მათთან იქნები. წადი გაიარ - გამოიარე, კარგათ საბავშვო სახლს გაეცანი, დაათვა-რიელე პიონერთა ოთახი. თუ რამე დაგჭირდეს, გვითხარი. სამი საათის შემდეგ სადილი იქნება.

— ხომ გეყო საუბრე?

— როგორ არა დეიდა, პური კიდევ მომრჩა...

აი ამ დღიდან დაიწყო ელიკოს ცხოვრებაში ახალი ხანა... საბავშვო სახლში ელიკოს მიღების შემდეგ ხუთმეტი დღე რომ გავიდა, ბავშვის ნახვა ისურვა ერთმა მისმა ნათესავმა.

გამოცვლილი და სრულიად გადასხვაფერებული, კარგად ჩაცმულ-დახურული ბავშვი პირველად ვერც კი იცნო. ელიკოს ძალიან ესიამოვნა ნათესავის ნახვა, მაგრამ ყველაზე უფრო სასიამოვნო ის იყო, რომ ის თავის უწინდელს „მოშველეს“ ასეთ პირობებში დახვდა.

რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, სკოლაში კლასის დამრიგებელმა ასეთი სიტყვებით მიმართა საბავშვო სახლის აღმზრდელს, რომელსაც სურდა გაე-

გო, თუ როგორ სწავლობდა, ან იქცეოდა მათი აღსაზრდელი ელიკო ნადოლსკაია. „თუმცა არც წინათ იყო ურგო ჩვენი ელიკო, ახლა საბავშვო სახლში მიღების შემდეგ, სრულიად გამოიცვალა ერთადერთი ნაკლი, რაშიდაც მას ვემდუროდით — გაკვეთილების გაცდენა და დაგვიანება იყო. ახლა კი ამ მხრივ დიდი წარმატება ეტყობა. სულ მხიარულადაა, უწინდელ მოწყენილობას ვერ ვამჩნევთ. მეტიც მეტად აქტიურია. საზოგადოებრივ დატვირთვას სკოლაში ყველაზე უფრო ხალხსით და პირნათლად ასრულებს. სწავლაში პირველობას არავის უთმობს“. ამრიგად, არამარტო სკოლაში, საბავშვო სახლშიაც მალე გაითქვა ელიკომ სახელი. მოისმის ხოლმე მისი მქუხარე სიტყვები საერთო კრებაზე, სადაც ის წესრიგის დაცვისა და დისციპლინის გამტკიცებასთან ერთად სწავლისაკენ მოუწოდებს ამხანაგებს. მხატვრულ საღამოების დროს ის მოხდენილად კითხულობს როგორც საკუთარ, ის სხვის ლექსებს!

ეს ყოფილი უპატრონო, სადაც ხან ერთ და ხან მეორე ბნელ სარდაფის მივარდნილ კუთხეში მიგდებული ბავშვი, მე-16 არა სრული საშუალო სკოლის და „ვაკე“ საბავშვო სახლის სიამაყედ და სიმშვენიერედ გადაიქცა.

სკოლის ბევრი მოწაფე და საბავშვო სახლის აღსაზრდელები გამოსწორდა ელიკოს წაბაძვით.

1934/35 სასწავლო წელს ელიკომ დაამთავრა აღნიშნული სასწავლებლის სრული კურსი და, გაშლილ, გალადებულ და გაბრწყინებულ თვალებით, გადასცა სახლის ადმინისტრაციას ის მოწმობა, სადაც გამადიდებელ შუშითაც კი ვერ ნახავთ ფრიალებს გარდა სხვა ნიშნებს.

ფრიალოსანი ელიკო არის საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ საბჭოთა ქვეყანაში როგორი მზრუნველობით ეკიდებიან უპატრონო ბავშვებს და როგორი შედეგი მოაქვს ამ ზრუნვას.

დღეიდან ელიკო ნადოლსკაია გახდებდა დამამშვენიებელი მე-18 სრული საშუალო სკოლისა, სადაც ის VIII კლასშია მიღებული.

არა. ხუნდაძე

დაბრუნება

დავუბრუნდით მშობლებს, ტფილისს,
ბანაკები დაიხურა,
ხვალ სკოლაში ადრე დილით
გადვიქცევით სიხარულად.
შენ სად იყავ? ბიჭოს! ცემში?
ლაწვიც მისთვის გილაქლაქებს!
ბევრს ქვიშხეთის აძევს ეშხი,
აღბათ, მტკვარზე ითამაშეს.
ვინ სად იყო... ბევრი კოჯორს
ახსენებს და ძლიერ აქებს,

ქობულეთიც იმათ მოსწონთ,
ვინც იქ ზღვაზე აბანავს...
ყველა, ყველა მხიარულად
ვეგებებით აღმზრდელ სკოლას
და ჩვეულად, დარაზმულად
ცოდნისათვის გავშლით ბრძოლას.
დავუბრუნდით სწავლას, ტფილისს..
ბანაკები დაიხურა...
ხვალ სკოლაში ადრე დილით
გადვიქცევით სიხარულად.

8. ებრაელიძე

რაზმი ლაშქრობის დროს



რა არის მარშის დისციპლინა?

მარშის დისციპლინა ეწოდება სალაშქრო მოძრაობის წესების დაცვას.

სალაშქრო მოძრაობის რაზმმა უნდა დაიცვას ერთგვარი წესრიგი, ე. ი. უნდა იმოძრაოს წყობილებაში. რისთვის არის ეს საჭირო? ვანა უკეთესი არ იქნება, რომ გავცეთ ძახილი „დაიშალეთ“ და ვიმოძრაოთ ბრბოს მსგავსად, ან დავიყოთ ჯგუფ-ჯგუფად, მეგობარი მეგობართან, რათა მეგობრულ ბაასში და სიცილში შეუქმნევლად გაიაროს დრო და გზაც მოკლედ მოგვეჩვენოს?

რა თქმა უნდა, მარშრუტის ზოგიერთი უბანი, განსაკუთრებით კი მხატვრული ადგილები, ან მოკლე 1—2 კლმ. გადასვლები, შეიძლება გავიაროთ წყობილების გარეშე, მაგრამ ამის წესად დაშვება არ შეიძლება, ისიც, პირველ რიგში, ბავშვების ძალღონის შენარჩუნების მიზნით.

საქმე ისაა, რომ ბავშვთა შორის ყოველთვის გამოიძებნება რამდენიმე „ფიცხი“, რომლებიც მოისურვებენ იყვნენ პირველები და ისე გასწევენ, რომ მათ ვერცკი დაეწევი. გამოიძებნებიან ბავშვთა შორის ისეთებიც, რომლებიც ოცნებას მიეცემიან, და ასეთები რომ თავიანთ თავს მივანდოთ, შეუქმნევლად ან ჩამორჩებიან რაზმს, ან დაჯდებიან ჩრდილში დასასვენებლად და მიიძინებენ, გავლიებისას კი დაიწყებენ ფიქრს რომელ მიმართულებით წავიდა ნეტავი რაზმიო?

საბოლოოდ რაზმი გაიჭიმა მთელ კილომეტრზე, დასვენებებზე თავს იყრის მხოლოდ ბავშვთა ნახევარი, ნაწილი წინ არის, ნაწილი ჩამორჩა, ერთმა დაკარგა ნაჯახი, მეორეს დაავიწყდა საბანი და ასე...

ამგვარად, ჩვენ ვთანხმდებით, რომ რაზმი მოძრაობს წყობილებაში.

მარშის დისციპლინა არ ამოიწურება მხოლოდ წყობილებაში სიარულით, საჭიროა დავიცვათ გზებზე მოძრაობის წესები, მოძრაობის სისწრაფის შეზავება.


უფროსი ასაკის ბავშვთათვის მოძრაობის სისწრაფე არ უნდა აღემატებოდეს 3—4 კილომეტ. 50 წ., ტემპი — 85—100 ნაბიჯი წუთში.

საჭიროა სწორედ შეესაბამებოდეს დასვენებები მოძრაობას და დროზე აღმოეჩინოს სუსტებს და ჩამორჩენილებს ამხანაგური დახმარება.

დასვენება:

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ათწუთიანი დასვენების სწორად გამოყენებას, რომელიც უნდა

ხდებოდეს მოძრაობის ყოველ 45—50 წ., რომ ბავშვებს მივსცეთ დასვენებისა და ტანსაცმელის გასწორების საშუალება. ძახილის „დასვენება“-ს შემდეგ თვითვეულ პიონერს წყობილებიდან გამოსვლისას შეუძლია მოიხსნას თავისი საჭურველი, დაჯდეს ან, თუ ძლიერ დაიღალა, წამოწვეს კიდეც, მიიღოს თავქვეშ შეხვეული საბანი და ფეხები კი ასწიოს ოდნავ მაღლა (იხ. სურათი 1.).



ზაფხულში ქსასარგებლოა თავისა და პირისახის წყლით გაგრილება, აგრეთვე ფეხების დაბანა. პატარა დასვენებაზე თვითვეული წუთი გამოყენებული უნდა იქნეს დასასვენებლად.

დიდი დასვენების დროს, როდესაც რაზმი ჩერდება რამდენიმე საათით, სალილის მისაღებად, ხელმძღვანელმა უნდა დაამყაროს შემდეგი წესრიგი: ხელმძღვანელი ვალდებულია დასვენებისათვის ამოირჩიოს მშრალი ადგილი ხეების ჩრდილში, სადაც ბავშვები მოათავსებენ თავიანთ ავეჯს, მედროზე კი სარგოლო აღმებით მოაწყობს დროშისათვის სამ-



ფეხს, რომლის ახლოს დადგება მორიგე, რომელიც ამავე დროს თვალყურს ადევნებს მთელ ავეჯს (იხ. სურათი 2.).

ამის შემდეგ ბავშვებს აცნობებენ, სად შეიძლება ხელ-პირის დაბანვა, მზარეულებს გამოუყოფენ, გამოუყოფენ გარკვეულ უბანს საჭმელის მოსამზადებლად, აგრეთვე უჩვენებენ, საიდან უნდა აიღონ საწვავი მასალა კოცონის გასაჩაღებლად და სხვა.

ბოლოს ვაჟებისა და ქალებისათვის ცალცალკე გამოიყოფა მოსასაქმებელი ადგილი.

თუ ყოველივე ეს „წვრალმანი“ თავის დროზე არ იქნა გათვალისწინებული, იმ შემთხვევაში მოსალოდნელია ბავშვების მიერ მიტოვებული ნივთების დაკარგვა, მოსალოდნელია აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც სამზარეულოს მორიგეები სადილის დასამზადებლად კოცონს გააჩაღებენ ისლით ან ჩალით დახურული შენობების ახლოს ან შეშად დაიტაცებენ ლობისათვის დამზადებულ სარებს, ზოგიერთები კი ხელპირის დაბანის დროს სოფლის ჭასთან დააქოჭებენ წყალს.

მოსასაქმებლად საჭირო ვარკვეული ადგილის გამოუყოფლობის შემთხვევა კი გამოიწვევს ირგვლივ მდებარე ადგილის გაბინძურებას. საერთოდ ხელმძღვანელმა უნდა დაიხსნოს თითოეულ ტურისტ-მოგზაურის „წმინდა წესი“ — „დატოვებული იქნეს შენს მიერ ადგილი ისევე სუფთად, როგორც დაგხვდა დასასვენებლად მოსვლის წინ“.

გამგზავრების წინ აუცილებელია კოცონების ჩაქრობა, ფეხისადგილის თხრილების ამოვსება. ქალაღები, ჩვრები, კონსერვის ბანკები, დამტვრეული ბოთლები და სხვა ნარჩენები უნდა შეგროვდეს და მიწაში ჩაიმარხოს. ამასთანავე თქვენ შესძლებთ დარწმუნდეთ, რომ დასვენების ადგილზე არაფერი არ გრჩებათ. ამ წესს აქვს არა მარტო ჰიგიენური, არამედ სამხედრო შინაარსიც — არ დარჩეს შენს შემდეგ არავითარი კვალი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება გამორკვეული იქნეს ვინ იყო აქ, რას აკეთებდა, სად და როდის წავიდა.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მანამდის, სანამ რაზმი ქალაქგარეთ ვავა სათამაშოდ ან სალაშქროდ, ხელმძღვანელს ევალება განუმარტოს ბავშვებს ბაღებზე, ბოსტნებსა და ბაღებზე თავდასხმის დაუშვებლობა. დაუსახეთ ამოცანად თვითეულ პიონერს — იყოს თავდაპირილობის მაგალითი, ხელი არ მოჰკიდოს არც ერთ ვაშლს, არც ერთ კიტრს, თუგინდა ისინი ფეხში ედებოდეს ან, როგორც იტყვიან, პირში თვითონ ვარდებოდეს. ყოველივე, თუგინდა სრულიად უმნიშვნელო სარის დატაცება ბაღებიდან და სხვა, შეფასებული და გაგებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ როგორც უკულტურობისა და საზოგადოებრივ ან ინდივიდუალურ საკუთრებისადმი უპატივცემულობის გამოხატულება არა ერთ რომელიმე პეტრეს ან ვასოს მიერ, არამედ მთელ რაზმის მიერ.

მოწინააღმდეგე ელემენტები, მოლაყბები შეეცდებიან თვითეული ასეთი უარყოფითი ფაქტი გაბერონ, გააზვიადონ, რომ ამით გამოიწვიონ კოლმეურნი და ერთპიროვნულ გლეხობაში უნდობლობა და ზიზღი პიონერებისადმი.

არგორ უზინარჩუნოთ ქალღმწე მარზის დროს?

გარდა ტანსაცმელის, ფეხსაცმელის, საჭურველის ხეირიანად მორგებისა და დასვენების მიზანშეწონილად გამოყენებისა, ზედმეტი არ იქნება აგრეთვე რამდენიმე რჩევა-დარიგების მიღება იმის შესახებ, თუ როგორ შევინარჩუნოთ დაუღლელობა და ძალღონე იმ გამოცდილებათა საფუძველზე, რომლებიც გამოიმუშავებულია ექსპურსია-ლაშქრობის ხანგრძლივი პრაქტიკით.

ცხელ ამინდში, როდესაც მზე აცხუნებს და მოძრაობა გიხთებათ გაშლილ ადგილზე, ხალათის სახელოები მალა უნდა აიწიოთ, საყულო ფართოდ გაიხსნათ ისე, რომ მთელი ყელი და გულის ნაწილი გაშიშვლებული იქნეს, თავზე არ უნდა მოიხადოთ (იხ. სურათი 3.).



თუ რგოლი ან ცალკეული პიონერი ჩამორჩა რაზმს, არ ვარვა ირბინოთ, არამედ ნაბიჯების ცოტათი მომატებით თანდათანობით უნდა დაეწიოთ დაწინაურებულთ და დაიკავოთ თქვენი ადგილი.

მოძრაობისა და პატარა დასვენების დროს უნდა ეცადოთ წყალი არ დალიოთ. რაც მეტს სვამთ წყალს, მით უფრო მეტად მოგინდებათ მისი დაღევა, ტანი განუწყვეტლივ ოფლიანდება, დაღლილობა მატულობს. წყურვილის შესამციკრებლად და მგზავრობაში მეტი ძალღონის შესანარჩუნებლად, ცხელ ამინდში ლაშქრობის წინ წყალი ბლომად უნდა დალიოთ და ამის შემდეგ მარილწყაყრილი პატარა ნატეხი პური შეჭამოთ. დასვენების დროს წყალი მათარიდან უნდა დალიოთ არა უმეტეს 1 ან 1¹/₂ ჭიქისა, მათარაში კი უნდა გქონდეთ ნაღული წყალი ან ჩაი.

კატეგორიულად უნდა აიკრძალოს წყლის დაღევა კიდან, მდინარიდან, მით უმეტეს ტბიდან, რომლებიც შეიძლება გზადაგზა შეგვხდეთ; უნდა შევაჩვიოთ პიონერები დაღლილი ამხანავისადმი დახმარების აღმოჩენას. ბავშვები არ არიან ერთნაირად ჯამრთელნი, ამის გამო ზოგიერთი მათგანი იმდენად დაიღლება, რომ მათთვის საჭირო და აუცილებელი

შეიქმნება მოვაწყობთ დასვენება, თუ კი მისი ამხანაგი დროულად არ შეუძლებულებს ტვირთს, არ დაენმარება და ამ მხრივ არ მისცემს საშუალებას დაისვენოს წყობილებიდან გამოუსვლელად (იხ. სურათი 4).

თუ დადლილობას იგრძნობს ბავშვთა უმეტესი ნაწილი და თუგინდ ნახევარი, ეს იმას ნიშნავს, რომ დატვირთვა ზედმიწევნით დიდია; ბავშვების ძალღონე გაზვიადებულია, გზა არჩეული იყო გრძელი და მოსაწყენი ანდა მარში არასწორად იყო ორგანიზებული — მიცემული იყო ნაბიჯის მეტისმეტად დიდი ტემპები. შეცთობა ასეთ შემთხვევებში დაუ-

ყოვნებლივ უნდა იქნას გამოსწორებული და უახლოვეს შესაფერ ადგილზე უნდა მოეწყოს დასვენება.

გარდასული
ნიშანი



მ. ზანდანი

მოსწავლე მეთუზიასტი

ნაყოფიერი შრომის მარაგით
თუმცა დამდგარა შემოდგომის დღე,
მაინც მეძახის შორი ქალაქი
თავის ხმაურით, თავის შრომითვე.

მივდივარ, ვტოვებ სოფელს დროებით,
დღე დაილია არდადეგების,
აქ ვტოვებ ყანებს კოლექტივს
იქ კი მეგობრებს მივგვებები.

დავტოვებ მინდვრებს ნეშომოფენილს,
ბავშვობის დღენი ისევ იქ არი,
გულს არ სცილდება ჩემი სოფელი,
კოლექტიური შრომით მდიდარი.

მოკვდა ცხოვრება ძველი, ბნელი გზის,
ალარ ამძიმებს დროთა ხუნდები,
ისწავლი, დავსძლევ მარქსიზ-ლენინიზმს
და ისევ სოფელს დავუბრუნდები.

ვერა შუბლაძე

პიონერ-ორგანიზაციის ამოცანები საჯარო თავდაცვის საქმეში

წარსულ დროთა ომებიდან ვიცით რომ ბავშვებს ბევრი გმირობა გამოუჩენიათ მტრებთან ომში. პარიზის დიდი კომუნის დროს მუშათა ბავშვები მშობლებთან ერთად იბრძოდნენ. პარიზის ბარიკადებზე ბევრი ბავშვი დაიღუპა. იქ, სადაც დიდს გავლა არ შეეძლო, ბავშვები შეუმჩნეველად გაძვრებოდნენ და მიჰქონდათ ცნობები მტრის შესახებ. საბჭოთა კავშირისა და იმპერიალისტების მომავალ ომში ბავშვებიც მიიღებენ მონაწილეობას მტრის მოგერიებაში. ავიაციისა და ქიმიის მრეწველობის განვითარება მომავალ ომში გამოიწვევს ბრძოლის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც 1914 — 18 წ.წ. ომშიაც იყო გამოყენებული ნაწილობრივ. ეს არის საჰაერო ბრძოლა. საჰაერო ბრძოლამ წაშალა საზღვარი ფრონტსა და ზურგს შორის და ის ამით არის საყურადღებო. მიიღებენ თუ არა ბავშვები მონაწილეობას მომავალ ომში? უეჭველად მიიღებენ. ავიაციის საშუალებით მტერი შეეცდება შემოფრინდეს ზურგში და შეეცადოს ყუმბარებით დაანგრძოს ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრები. ჩვენი ამოცანა იქნება საჰაერო თავდაცვისათვის ისე მოვემზადოთ, რომ მტრის იერიში უშედეგოთ დარჩეს. ამისათვის საჭიროა კარგად ვიცოდეთ

საჰაერო თავდაცვის წესები. მაშასადამე, ამ თავითვე უნდა შევეუდგეთ საქმეს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, სკოლების, ბინების დასაცავად. საამისო დადგენილებები სათანადო ორგანოების მიერ რახანია გამოცემულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სკოლებში ჯერ არა გაკეთებულა რა.

ამ შემთხვევაში პიონერორგანიზაციას შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს. პიონერორგანიზაციამ უნდა ითაოს სკოლაში საჰაერო თავდაცვის შესწავლის საქმის მოგვარება და ჩვენ ყოველმხრივ დავეხმარებით პიონერებს. მაგალითად, გამოვგზავნით ლექტორებს საჰაერო თავდაცვის წრეებისათვის, მოვაწყობთ ექსკურსიებს პრაქტიკული თავდაცვის მოსაწყობად, დაუნიშნავთ ხელმძღვანელებს და სხვ. კონკრეტულად, აი რა უნდა გააკეთონ პიონერორგანიზაციებმა:

- 1) მოელაპარაკონ თავიანთი სკოლის დირექტორებს გააბან სათანადო კავშირი საჰაერო თავდაცვის სარაიონო შტაბთან.
- 2) სკოლაში უნდა დაარსდეს ავიაქიმიის პირველადი უჯრედები.
- 3) ყველა ბავშვი უნდა იღებდეს მონაწილეობას საჰაერო თავდაცვაში.

4) მტკიცე დისციპლინა სუფევდეს საჭაერო თავდაცვის ლექციებზე.

5) შეძენილ იქნას აირნილაბები.

6) აირწინალი ზედმიწევნით კარგად უნდა იქნას შესწავლილი, რომ ბავშვმა იგი პრაქტიკულად გამოიყენოს.

7) მოწვეულ იქნას სკოლაში სპეციალური ინსტრუქტორი სამცეადინოთ.

8) მოეწყოს თავდაცვის ვარჯიშობანი ექსკურსიების სახით. ბავშვები ამას ძალიან ეტანებიან და ეს სახალისო ამბავია.

9) კედლის გაზეთებში უნდა შეუქდებოდეს საჭაერო თავდაცვის ჯგუფების მუშაობა, აგრეთვე იმათი

მზილება, ვინც ხელს უშლის საჭაერო თავდაცვის დიდ საქმეს. აი, როცა ეს საკითხები მოგვარებული იქნება, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მტრის პანელო-პლანების თავდასხმას გადაურჩებით და ვიხსნით ჩვენს სკოლას, ჩვენს პატარა და-ძმებს და საკუთარ თავსაც შხამიანი გაზეთისაგან.

მაშ, პიონერებო, ხალისით მოგიდოთ ხელი ამ საჭირო საქმეს! ითავით საჭაერო თავდაცვის ჯგუფების დაარსება სკოლებში! სხვაში ჩვენ დაგეხმარებით.

ა. მდივანი

(საჭაერო თავდაცვის ორჯონიკიძის რაიონის უფროსის მთადგილზე).

ჩემს პატარა გოგონას

ალიონზე აპრილში
შემოფრინდა მერცხალი.
გადმომძახა ჭიკჭიკით:
— გაზაფხული მოდისო.
ბედნიერი შენსავეთ
ვინ არის და როდისო? —
აყვავილდა ჩემს სახლში
ია-ვარდი ცოცხალი,

ო, როგორი მარჯვეა
პაწაწინა მარინა!
ასი ტონა მოზიდა,
ასი ტონა... ხალისი.
ყველაფერზე თავს აქნევს,
ან უარობს: „ალ ისი“*.)
სათამაშოდ არ ჰყოფნის
მთელი ეზოს არენა.

მას სხვაც ჰქვია სახელი:
ციმა, რიტა და ლია.
ციმციმასაც ვეძახით,
მე დავარქვი „ვატატა“...
(ეს მიტომ, რომ ერთხელ მან
დაიძახა „ათათა“,
როცა არ დაგვაცალა
და ცხელი რძე დალია).

სიხარულმა, სიცოცხლემ
უცბათ შემოირბინა,
შემოაღო ღიმილით
მან ხუთივე ფანჯარა.
გული დაატრიალა
აღტაცებამ ვით ჯარა...
შინაარსით გაივსო
ჩემი სახლი და ბინა.

*) არ ვიცი.

ი. ხინვალი

საბჭოთა ქვეყნის ფრთები

არაფრისაგან და სრულიად ცალიერ ადგილზე შეიქმნა საბჭოთა მძლავრი ავიაცია და საავიაციო მრეწველობა.

ამ დარგში ჩვენ დავიკავებთ ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი. ბევრი მსოფლიო რეკორდებიც მოგვეპოება.

დღეს მთელი მსოფლიო იცნობს საბჭოთა გმირ მფრინავებს **ლევანევსკის**, **ლიაპიდევსკის**, **კამანინის**, **მოლოკოვსა** და **ვოდოპიანოვს**. რომლებმაც გადარჩინეს 104 ჩელიუსკინელი და მსოფლიოს უჩვენეს: საბჭოთა თვითმფრინავების და მოტორების უმაღლესი ხარისხი, მფრინავთა განსაკვიფრებელი გმირობა და ბოლშევიკური ორგანიზებულობისა და დარაზმულობის მნიშვნელობა.

საბჭოთა დირიჟაბლებმა, განსაკუთრებით მეორემ, რომლის აფრენა თუმცა ძარცხით დამთავრდა „მსო-

ფლიოს ქერი“ ამაღლეს 22.000 მეტრამდე და ჯერ-ჯერობით და ალბათ დიდი ხნითაც შეუნარჩუნეს საბჭოთა ქვეყნის ადამიანის მიერ მიღწეული სიმაღლის რეკორდი.

ჩვენ გვეყნან ისეთი გამოჩენილი საბჭოთა ინჟინერები — **ტუკოლევი**, **პუტილოვი**, **იაკოვლევი**, **კალინინი**, **მიკულინი** და სხვები, რომლებიც ცნობილი არიან საბჭოთა კავშირის საზღვრების გარეთაც.

ჩვენ ავაშენებთ მსოფლიოში ყველაზე უდიდესი თვითმფრინავი „მაქსიმ გორკი“, რომელიც დაიღუპა მფრინავის ანცობისა და დაუდევრობის გამო და რომლის ნაცვლად ჩვენ ვაგებთ იმავე სახის და იმავე ოდენობის ათ მძლავრ თვითმფრინავს.

ლოზუნგი „დაგვიოთ და გაუფრთო“ — ავიაციის დარგშიაც დიდი წარმატებით ხორციელდება და ხორციელდება. მუშათა კლასმა მართლა

„უჩვენა და კიდევ უჩვენებს კაცობრიობას ტექნიკისა და მეცნიერების დაუფლების სასწაულებს“.

2 აგვისტოს პარაშუტისტმა ქალებმა **პიასეცკაიამ** და **შიშმარიოვამ** ჟანგბადის უხელსაწყოდ ჯგუფური გადმოხტომა მოახდინეს 7.923 მეტრის სიმაღლიდან, რითაც მათ დაამყარეს სიმაღლიდან ჟანგბადის უხელსაწყოდ გადმოხტომის ახალი მსოფლიო რეკორდი არა მარტო ქალებისათვის, არამედ მამაკაცებისათვისაც.

ყველა ამ წარმატებებს საბჭოთა ქვეყანამ მიაღწია კომპარტიის სწორი ხელმძღვანელობის შედეგად, კომპარტიის, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი და ბრძენი **სტალინი**, რომელიც ჩვენს ავიაციას და საავიაციო მრეწველობას უდიდეს ყურადღებას აქცევს. ქვეყნის ბელადი დაინტერესებულა ამ სამის ყოველგვარი წვრილმანით და უდიდეს დახმარებას უწევს მთელ რიგ ურთულეს ამოცანათა გადაწყვეტის საქმეში.

სიტყვა ავიაცია საერთოდ აღნიშნავს საფრენოსნო მოწყობილობათა ანუ აპარატების გამოყენებისა და მოხმარის დარგს.

ამ დარგის განვითარებას მეტად საინტერესო ისტორია აქვს.

აზრი ფრენის შესახებ ადამიანებს დაებადათ ადრევე, ადამიანის თვით არსებობის განთიადზე.

ცნობილია თქმულება ბერძენ კალატოზის **დედალისა** და მისი შვილის **იკარის** შესახებ. ჰაბუჟი **იკარი** მამის მიერ გაკეთებული ფრთებით, როცა კაღნი-

ერად მიუახლოვდა მზეს, ცვილი გადნა და ახალგაზრდა ზღვაში ჩავარდა.

დღევანდელი თვითმფრინავების პროპელერები (მბრუნავი ხრახნი) წარმოადგენს იმ **სახეშეცვლილ** ხრახნს, რომელიც გამოიგონა საბერძნეთის მათემატიკოსმა არქიმედმა ჩვენ წელთა აღრიცხვამდე — რამდენიმე საუკუნით ადრე.

ავიაცია ადრევე იქნა გამოყენებული ომისათვის... პირველად ის გამოყენებული იქნა სამოქალაქო ომის დროს ამერიკაში, შემდეგ საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს. განსაკუთრებით პარიზის ალყის შემორტყმისას; კიდევ უფრო განვითარებულად ავიაცია გამოყენებული იქნა მსოფლიო ომის დროს. კაპიტალისტურ ქვეყნებში მშვიდობიანობის დროსაც ავიაცია უმთავრესად საომარი მიზნებისათვის აქვთ შემონახული. მხოლოდ მარტო სოციალისტურ ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში დიდი ადგილი უკავია სამოქალაქო ავიაციას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა ვაძლიერებდეთ და არ ვაძლიერებთ სამხედრო ავიაციას. სოციალიზმის ციხესიმაგრის, საბჭოთა ქვეყნის დამცველ წითელ ჯარსა და ფლოტს გვერდს უმშვენებს ღირსეული სამხედრო ავიაცია, რომელსაც ისევე „უნდა გაუფრთხილდეთ, როგორც თვალის ჩინს“.

დიახ, დღეს ჩვენს სოციალისტურ ცას ჰყავს ღირსეული დამცველი, საბჭოთა ავიაცია, რომლის შეფი არის გმირი საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი.

ს. გონდოლაჟი

ს ა ბ ა ვ უ ვ ო უ ო ლ კ ლ ო რ ი

(ჩვენი მკითხველების საშუალებოდ)

თქვენ გაგიგონიათ, წაგიკითხავთ კიდევ ისეთი ნაწარმოებნი, რომელთა ავტორი (დამწერი, შემქნელი) ცნობილი არაა (არსენას ლექსი და სხვა), იგი ხალხის ფართო მასაში არის წარმოშობილი, შექმნილი და განვითარებული; რაკი იგი თავიდანვე არ იწერებოდა, არც იბეჭდებოდა (რადგან ასეთი საშუალება წერისა და ბეჭდვის გამოგონებამდის არ არსებობდა), არამედ ხალხში ვრცელდებოდა ზეპირი საშუალებით და გადაცემით. მას ზეპირსიტყვაობას, ანუ ხალხურ სიტყვიერებას უწოდებენ. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ასეთ ნაწარმოებს მთელი ხალხი ქმნიდეს ერთად, — შემქმნელი, მთქმელი ერთი ჰყავს; ასეთი ნაწარმოები თაობიდან თაობაზე გადადის დაზეპირების მეოხებით და რაკი ხანგრძლივად ძნელია იმგვარად დახსოვნება, როგორც ავტორმა თქვა, დავიწყების გამო მას აკლდება ესათუის ნაწილი. ხშირად სხვები სხვადასხვა დროს სხვადასხვა სოციალური მიზნით ჩაურთავენ, ამატებენ კიდევც. ადვილი მისახვედრია, რომ ასეთ ნაწარ-

მოებს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. კარგად ცნობილია ისიც, რომ ხალხში არსებული კლასობრივი ბრძოლა მკვეთრ გამოხატულებას პოულობს ხალხურ სიტყვიერებაში. მოვიგონოთ თუნდაც ლექსები მღვდლების, თავად-აზნაურების, კულაკებისა და სხვათა წინააღმდეგ, ანდა ამ უკანასკნელთა მიერ თქმული მშრომელების მოსატყუებლად, და ზემონათქვამი ცხადი შეიქნება ჩვენთვის.

ხალხური სიტყვიერება სხვადასხვა სახისაა: ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, თქმულებები, ლეგენდები და სხვა. აი, ამ ზეპირი შემოქმედების მრავალსახეობას უცხოურად ფოლკლორი ეწოდება. ეს სიტყვა პირველად ინგლისელმა ისტორიკოსმა ვილიამ ჯონ თომსმა იხმარა, 1848 წელს, და სიტყვა-სიტყვით ხალხურ სიტყვიერებას ნიშნავს. თუმცა მის გამოსახატავად სხვადასხვა ხალხს თავისი სიტყვა გააჩნია, მაგრამ მან მაინც საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა.

დიდი ხანია, რაც ფოლკლორის შეკრებას მია-

ქციეს ყურადღება; დიდი გულმოდგინებით და სიფრთხილით აგროვებენ, სწავლობენ და ბეჭდავენ ამ მასალას; სწორედ ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი მეცნიერება ფოლკლორისტიკის სახელწოდებით, რომელმაც ნათელაჰყო ხალხური სიტყვიერების სოციალური, მხატვრული და აღმზრდელი ბიტი მნიშვნელობა. ამიტომ ბუნებრივია, რომ მას ყველაზე მეტი ყურადღება ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ექცევა. ჩვენში ხალხური სიტყვიერების მასალის შეკრებას უდიდესი მზრუნველობით ეპყრობიან და იგი ფართო მასობრივ მოძრაობად არის გადაქცეული.

მაგრამ ის ფოლკლორი, რომელზედაც აქამდის ვლაპარაკობდით, მთლიანად უფროსების ყოფა-ცხოვრებას, მათ სოციალურსა და იდეოლოგიურ ვითარებას გამოხატავს; ამიტომ ბავშვებთან მას უშუალო კავშირი არა აქვს; იგი ბავშვთაგან დაშორებულია. ამის მიხედვით უკანასკნელ ხანებში ზოგადი ფოლკლორიდან გამოჰყვეს ისეთი ხასიათის ზეპირი სიტყვაობა და ვასართობ-სათამაშოები, რომელსაც უშუალოდ, პირდაპირ საბავშვო დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს და მას საბავშვო ფოლკლორი უწოდეს. ამ გარემოებას სხვადასხვა ღრმა საფუძველი გააჩნია, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ამრიგად, საბავშვო ფოლკლორი ეკუთვნის ბავშვთა და ბავშვებისათვის განკუთვნილ ზეპირსიტყვაობას. მასაც თავისი სახეები გააჩნია: ლექსები, აკენისა და სხვა სიმღერები, ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები, გასაჯავრებლები, სწრაფსათქმელები, სხვადასხვა ხასიათის თამაშობანი და სხვ. ისე, როგორც უფროსთა ფოლკლორს, ამასაც დიდი სოციალური, მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს.

ამ მიზნით ჟურნალ „პიონერის“ რედაქციამ გადაწყვიტა შეკრიბოს ეს დღემდის შეუკრებულ-გამოუქვეყნებელი მასალა და შერჩევით მოათავსოს ჟურნალის ფურცლებზე, ხოლო შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოცეს სათანადო დამუშავებითა და ახსნა-განმარტებით.

გადაუნიკუთლებელი გოლიათები

ეს დიდი ხნის ამბავია. შვეიცარიის ქალაქ ბაზელის მახლობლად ჭის თხრიდენ. ბარი მაგარ რაღაცას მოხვდა. გამოჩნდა რაღაცა არაჩვეულებრივი სიდიდის ძვლები. მიწისმთხრელები შიშით აჯანკალდენ, მიანებეს თავი მუშაობას და მღვდელთან გაიქცენ.

უცებ გავარდა ხმა ამ უცნაური ძვლების პოვნის შესახებ. დაიძრა ხალხი მათ სანახავად...

სამღვდელთაგან გადაჭრა საკითხი: ძვლები ანგელოზებისაა. ერთხელ ისინი აუჯანყდენ ღმერთს, ღმერთმა დასაჯა და დედამიწაზე ჩამოაგდო, წიგ-

ამ დიდი საქმის შესრულებაში ყველაზე უფრო დიდ როლს შეასრულებენ ჩვენი ჟურნალის მკითხველები; თქვენ თვითონ ჩაწერეთ, აღწერეთ საბავშვო ხასიათის ზეპირსიტყვაობანი: ლექსები, აკენისა და სხვა სიმღერები, ზღაპრები, გამოცანები, (მაგ. „ნარი ბოსელში შევაგდე, კული ხელში შემრჩა“ (მსხალი) და მისთ. აგრეთვე გამოცანები ცხოველებზე, ადამიანებზე, მცენარეებზე და სხვა), ანდაზები (გასაჯავრებლები) მაგ.

„წუნისა ბანი,
სამი ჯამი მხალი,
შეგუტანე საღორეში,
გამოვკეტე კარი,
ისიც ღორმა შეუტამა,
ვაი მისი ბრალი.

და სხვ. სწრაფსათქმელები. „აგერ მოდის თეთრი ბატი, ფრთათეთრი და ფრთაფარფატი“ (კაც-სა ბლისკინელსა... და სხვა), აგრეთვე ცეკვა, გასართობ-სათამაშოები და სხვა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც დაინტერესებულია ნორჩი თაობა. მასალა ისე ჩაწერეთ, რომ არ შეცვალოთ არც თვით მასალა, არც ენა. ჩაწერისას ასე მოიქცეთ: ჩაწერეთ მასალის სახელი. თვით მასალა, თუ ახსნა სჭირდება—ისიც დაუმატეთ ახსნისას, თუ სად და ვისგან გაგიგონიათ, მთქმელის ვინაობა და დამოკიდებულება თქვენდამი, მისი წლოვანება და მოსაქმეობა, თქვენი სახელი, წლოვანობა, განათლება, საქმიანობა და მისამართი. თამაშობა — სათამაშოებიც დაწერილებით აღწერეთ: თამაშობა — სათამაშოს სახელი, მონაწილეთა რაოდენობა და როლი, რა სიტყვა ან ლექსი თუ სხვა რამ იხმარება თამაშობისას და სხვა. ასეთი მასალა შერჩევით გამოქვეყნდება ჩვენს ჟურნალში თქვენივე სახელითა და გვარით.

ველით მასალას.

„პიონერის“ რედაქცია.




ნიც კი დაწერა ამის შესახებ ერთმა ღვთისმეტყველმა.

ბაზელის ეპისკოპოსის ბრძანებით ეს ძვლები მოაგროვეს და დიდი ამბით დამარხეს. ამ დროს ბაზელის ყველა ეკლესიაში ზარების რეკა იყო ამტყდარი. ეს მოხდა 1577 წელს.

ესპანეთის ქალაქ ვალენსში იყო უზარმაზარი კბილი. სამღვდელთაგან ამბობდა — ეს არის კბილი წმინდა ქრისტეფორესი, მოგზაურობის მფარველისა. ვინც ამ კბილს შეეხება, ის განიკურნება...

იმევე ქალაქში კაცის სიმაღლე ძვალი ჰქონდათ



ეკლესიაში და სამღვდლოება „წმ. ვინსენტის ხელის ძვლად“ ასაღებდა მას, თუმცა ის სპილოს მენჯის ძვალს უფრო გავდა.

არაერთხელ უნახავთ ევროპაში უზარმაზარი ცხოველების ძვლები, მაგრამ მაშინდელი მეცნიერები ვერ ხსნიდენ, თუ რისი ძვლები იყო ეს. ზოგნი ამბობდენ: წინათ გოლიათები იყვნენ და ეს მათი ძვლებიაო, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას! მხოლოდ XVIII საუკუნის გასულს დაიწყეს მეცნიერებმა მიწაში ნაპოვნი გაქვავებული ძვლების შესწავლა.

„წმ. კრისტეფორეს კბილი“, „წმ. ვინსენტის ხელი“ და სხვა ძვლები გადაშენებული უზარმაზარი სპილოს — მამონტის ძვლები იყო.

ათიათასი წლების წინათ მამონტების ჯოგები დადიოდენ ევროპაში, აზიაში, ჩრდილო ამერიკაში. მამონტის ეშვები დასავლეთ ევროპაში გაქონდათ მოსკოვიდან (ასე ეძახდენ ევროპელები რუსეთს).

მამონტის ეშვები მოლუნულია და რქებად მიაჩნდათ. ამ „რქებს“ პოულობდენ ციმბირში ტუნგუსი, ოსტიაკი და იაკუტი მონადირეები. სიგრძით ეს

„რქები“ 3-4 მეტრი იყო. ეს ძვალი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სპილოს ძვალს, მისგან აკეთებდენ სხვადასხვა მშვენიერ ნივთს. მამონტის ძვლის ნივთებში აუარებელ ფულს იძლეოდნენ ძველათ. მოსკოვში მაშინ ხმა დადიოდა — ციმბირში ხანდახან პოულობენ არა მხოლოდ ძვლებს, არამედ მთელ ნამონტსაცო. ჩაფლულია თიწაში უზარმაზარი ცხოველი, გაყინულია. ხორცი, ბეწვი — ყველაფერი მთელიაო. ციმბირს „მამონტების სასაფლაოს ეძახდენ“. ყოველ წლიურად ასი წყვილი მამონტი გაქონდათ ციმბირიდან.

* * *

1799 წელს ტუნგუსში შემახოვი გაემგზავრა მამონტის ძვლების საძებნელად. იპოვნის სამფუთიან ეშვს, შეიძლება ექვსფუთიანიც შეხვდეს, ადგება და თუმნად გაყიდის იაკუტსკში! ხუმრობა ხომ არ არის, თუმანი კარგი ფულია!

რა იცოდა საწყალმა შემახოვმა, რომ მისი ძვლების მყიდველები რუს ვაჭრებს ერთიანად მიჰყიდდნენ ხოლმე მამონტის ეშვებს, ისინი კი მოსკოვში კიდევ უფრო ძვირად გაჰყიდდნენ. შემახოვმა ისიც კი არ იცოდა, თუ არსებობდა ქალაქი მოსკოვი? ნელა მიცურავდა შუმახოვი ნაპირ-ნაპირ. ფერდობზე, ყინულებში, უეცრად მოჰკრა თვალი უზარმაზარ შავ საგანს. შეშინდა, ავი სული ეკონა.

— მოვკლავ! — წამოიყვირა შეშინებულმა და ფაცხაფუტხით გაშორდა იქაურობას.

მეორე წელს იმავე ადგილს მიცურავდა შუმახოვი. ყინული აქა-იქ გამლხვალყო. შავი საგანი ისევ უძრავად იყო. კვლავ შეშინდა და გაშორდა იქაურობას.

მესამე წელს მან გარკვევით დაინახა, რომ ეს იყო უზარმაზარი ცხოველის გვერდი. ეშვიც კარგად მოჩანდა. ახლა კი აღარ ეშინოდა. გამოვიდა ნაპირზე და თიხაში ჯვარედინად ჩაასო ორი ტოტი — ეს იმას ნიშნავდა, რომ ნაპოვნი ეშვები მისი იყო. სხვა მონადირეები რომ დაინახავენ ამ ნიშანს, ხელს არ ახლებენ სხვის „ნანადირევს“.

მეხუთე წელს ყინული იმდენად გალხვა, რომ ცხოველის სხეული ძირს ჩამოვარდა. მოვიდა შემახოვი და ამოამტვრია ეშვები.

ტუნგუსები ხანდახან მიდიოდნენ მამონტთან, ამოსჭრიდნენ ხორცს და ძაღლებს აჰმევენ. იქნებ თვითონაც მიირთმევდნენ, როდესაც საჭმელი შემოაკლდებოდათ, „კეთილი“ სულების მიერ მოცემულ სანოვავეს. თუ ხალხი არ იყო მახლობლად, მგლები და მელიები მოჟლხენდნენ ხოლმე მამონტის ხორცს.

1806 წელს, ორი წლის შემდეგ, პეტერბურგის (ახლანდელ ლენინგრადის) სამეცნიერო აკადემიის მეცნიერი ადამსი მოგზაურობდა მდ. ლენაზე. ისიც წააწყდა შემახოვის მიერ ნაპოვნი მამონტს. თითქმის მთელი ჩონჩხი შეაგროვა მან და თორმეტი კილოგრამი ბეწვი. რის ვაივაგლახით ჩაიტანა ყოველივე

ეს აღმოსავლეთ ციმბირიდან რუსეთის მაშინდელ დედაქალაქ პეტერბურგს.

მამონტის ჩონჩხი ააწყვეს. ის ახლაც დგას ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმში. სიმაღლით ის 3 მეტრი და 10 სანტიმეტრია.


როგორ მოხვდნენ სპილოები ცხელ ინდოეთიდან ცივ იაკუტეთსა და ციმბირის კუნძულებზე, ჩრდილო პოლარულ ზღვის ნაპირებზე?

ვინ იცის, იქნებ უხსოვარ დროს იქ საშინლად ცხელოდა და ეშვებიანი გოლიათების ჯოგები დაბორიალობდნენ თვალწარმტაცად ამწვანებულ მიდამოებში... ან იქნებ ციმბირის მდინარეებმა მოიტანეს სამხრეთიდან დამხრჩვალი მამონტები შორეულ ჩრდილოეთში...

* * *

ორმოცი წელი გავიდა, რაც აღამსა იპოვნა მამონტი.


1846 წელი დადგა. რუსი ინჟინერი ბენკენდორფი მდ. ლენისა და ინდიგორკის გამოსაკვლევად მივიდა ციმბირში, იმ წელს არაჩვეულებრივი გაზა-



ფხული იყო. წამდაუწუმ წვიმდა. მდინარეები ისე ადიდდა, რომ ყველაფერი მიქონდა. წყალს მოჰქონდა ხეები, ტორფი, მიწა, ათასგვარი ნივთი..

ბენკენდორფი მოტორიანი კატერით მიდიოდა ინდიგორკაზე. შიშით არ იცოდა, რა ექნა: ხან რა დაეჯახებოდა კატერს და ხან რა!

უეცრად აყვირდა კატერის მეთვალყურე, ხელს იშვერდა წინ... ნაპირის მახლობლად წყლიდან გამოჩნდებოდა ხოლმე უზარმაზარი შავი რალაც და მერე ისევ ჩაიმალებოდა.



ეს არც ხე იყო და ირც მიწა.

რა უნდა იყოს?

ბენკენდორფის ბრძანებით ნაპირს მიაყენეს კატერი. ახლოს იყო უცნაური საგანი. მაგრამ რომ აღარ ჩანს! იცდიან განაბულნი...

უეცრად ამოტივტივდა ვეებერთელა შავი სხეული... გამოჩნდა დიდზე დიდი გრძელი ეშვებით და ხორთუმით.

სუნთქვაშეგუბებულნი მასჩერებოდნენ ამ საოცრებას, რომელიც მათგან ოთხ მეტრზე იყო. თვალები გახელილი ჰქონდა, თითქოს ცოცხალიაო. — მამონტი! მამონტი!

— არიქა, ბაწრები! ჯაჭვი! — ქლოშინებდა ბენკენდორფი.

მართლაც უნდა აჩქარებულყენენ. გააფთრებული წყალი შლიდა მიწასა, და სულ მალე გაიტაცებდა ძვირფას ნაპოვნს!..

როგორც იქნა, მოსდეს მარყუჟი... 50 კაცი და რამდენიმე ცხენი ცდილობდნენ მის დაძვრას, და კიდევ გაათრიეს ნაპირზე.

„რალაც შიშს განვიცდიდი, — წერს ბენკენდორფი, — როდესაც მივედი ლეშთან. თვალები ფართოდ ჰქონდა გაღებული, თითქოს ცოცხალიაო, ისე მეგონა, აი სადაც არის წამოდგება, და აიღმუვლებს და ყველას მოგვსრეს-მეთქი.“

მამონტი მშვენიერად შენახულიყო. სიმაღლით 4 მეტრი იყო, სიგრძით კი ხუთი. გრძელი სქელი ბეწვით იყო დაფარული. ეშვები 2 მეტრი იყო, ხორთუმი — თითქმის ორი მეტრი.

როგორც ეტყობა, მამონტი ჭაობში ჩავარდნილა და შიგ ჩაფლულა. ის ისე ყარდა, რომ ახლოს ძლივს მიუღებოდი. მის კუჭში იპოვნეს ნაძვისა და ფიჭვის ყლორტები და გირჩები...

მაგრამ... უეცრად მოვარდნილმა წყალმა გაიტაცა მამონტი და რამდენიმე იაკუტი. ხალხი გადაარჩინეს, მამონტი კი სამუდამოდ გაქრა.

მამონტის საუკეთესო მკვლევარი იყო რუსი მეცნიერი ტოლი. იმან სამჯერ იმოგზაურა, ციმბირიდან ჩრდილო პოლარულ ზღვამდის მივიდა, თხრიდა მიწას, ეძებდა მის ქვეშ ჩამალულ ძველისძველ ცხოველებს...

ტოლმა დაამტკიცა, რომ ციმბირში ცხელი ჰავა არასოდეს არ ყოფილა, რომ იქ იყო ნაძვი და ფიჭვი, ცივი ქვეყნის ხეები, რითაც იკვებებოდა მამონტი.

1902 წელს ნოვოსიბირსკის კუნძულებთან უგზო-უკვლოდ დაიკარგა ტოლი თავის სამ თანამგზავრთან ერთად.

მიიღო მამონტი, ისეთი როგორც ნახა ბენკენდორფმა, ვერსად ვერ აღმოაჩინეს.

სამასი მანეთი დაუნიშნეს იმას საჩუქრად, ვინც ასეთ მამონტს იპოვნიდა.

და, აი ერთი მონადირე — ლამუტი წააწყდა ასეთ მამონტს ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში, მდ. ბერეზოვკასთან. მან ამის შესახებ შეატყობინა რუს კახაკებს, იმათ — სრედნეკოლიმსკს, იქიდან კაცი აფრინეს იაკუტსკში, საიდანაც დეპეშა გაიგზავნა პეტერბურგს.

სამი მეცნიერი გაემგზავრა პეტერბურგიდან... 15 ათასი კილომეტრი გაიარეს მათ. რის ვაივაგლახით გათხარეს მიწა, ამოიღეს მამონტი, დაჭრეს და ნაწილ-ნაწილ ძროხის ტყავებში გახვეული, ჩაიტანეს პეტერბურგს.

ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმში მნახველების თვალს იტაცებს მდინარის ნაპირას თიხაში ჩამჯდარი რუხი მამონტის ფიტული.

ვ. ტამბოვსკიდან გადმოკეთებული შ. თ — ლის მიერ.

მოვსკოთ გავშვთა უპატრონობა

ათეულ და ასეულ ათასობით შემოფხრეწილი, მშიერი და ბედის ამარად დატოვებული ბავშვები დაძრწიან კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქების ქუჩებსა, გზაჯვარედინებსა და სოფლის შარავზებზე. მცირეწლოვან სისხლის საწართლის დამნაშავე ბავშვთა შეიარაღებული ბანდებით სავსეა მსოფლიოს ყველა კაპიტალისტური ქვეყნები. ვინ არიან ეს ასი ათასობით უპატრონო ბავშვები, რომლებიც მოკლებული არიან ყველაზე ძვირფას სიცოცხლეში — ბენდიერ ბავშვობას?

ესენი არიან უმეტეს შემთხვევაში შვილები იმ უმუშავარ მშობელთა, რომელთათვისაც მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოში არ მოიძებნება ლუკმა-

პური, მზრუნველი გული და თავშესაფარი. ბავშვთა უპატრონობა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში გამოუკლებლივ დღითიდღე იზრდება. ვერც საკონცენტრაციო ბანაკები ბავშვთა, ვერც ე. წ. შრომის ბეგარის ბანაკები და ვერც საბავშვო კოლონიები ციხის მხეცურ რეჟიმით ვერ ამცირებენ ბავშვთა უპატრონობას კაპიტალისტურ ქვეყნებში, რადგანაც ბავშვთა უპატრონობა — ეს არის პირველი თანამგზავრი უმუშევრობისა და პირველივე შედეგი მუშათა საყოფაცხოვრებო დონის სიდაბლისა-კაპიტალიზმის დროს.

ბავშვთა უპატრონობა ჩვენს ქვეყანაში — მეფის რუსეთის ეს საშინელი მემკვიდრეობა — მძაფრად

შემცირდა. პარტიის ხელმძღვანელობის და საბჭოთა სახელმწიფოს ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად მილიონობით უპატრონო ბავშვები მოცილებულ იქნენ ქუჩას და აღზრდილნი კულტურულ და ძვირფას მშენებლებად სოციალისტური საზოგადოებისა. ყოველ უპატრონოთა შორის ამჟამად ჩვენ ვხვდებით მწერლებს, ინჟინრებს, მფრინავებს, აგრონომებს, მსახიობებს, კომპოზიტორებს და მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო წარჩინებულ ადამიანებს. რა მოვლით უპატრონო ბავშვებს კაპიტალისტურ ქვეყნებში? შიმშილი, სიცივე, გაჭირვება, მძარცველისა და ქურდის საყოველთაო სიძულვილი და სისხლის სამართლის ციხეების ჯურღმულებში სიკვდილი, მხოლოდ ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში შეიძლება ყოფილი უპატრონოსა და ქურდის გახდომა დამკვრელ მუშად, საუკეთესო მშენებლად და ასევე საუკეთესო მწერლად, როგორცაა ავღღენკო ავტორი წიგნისა „მე მიყვარს“.

საკმარისია მიმოიხედო ირგვლივ, რომ დაინახო ასიათასობით საუკეთესო ადამიანები, აღზრდილნი საბჭოთა საბავშვო სახლებში, რომელთაც მიიღეს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლებისაგან ნამდვილი აღზრდა და სწორი გზა ცხოვრებაში. მაგრამ ბავშვთა უპატრონობა და უმეთვალყურეობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არაა მთლიანად აღმოფხვრილი, მხოლოდ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების და პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ცუდი მუშაობით უნდა აიხსნას, რომ ჩვენს ქუჩებში ჯერ კიდევ გვხვდებიან უპატრონო და უმეთვალყურეო ბავშვები. თუ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს მიღწევებს, რომელიც მოპოებულაა მშრომელთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში და იმ აუარებელ სახსარს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ხარჯავს საბავშვო დაწესებულებების შესანახავად, ბავშვთა უპატრონობა და უმეთვალყურეობა ჩვენში ყოველად შეუწყნარებელია.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და პარტიის ცეკას დადგენილება ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ა/წ ივნისში, მიმართულია ამ ბოროტების საბოლოოდ მოსპობისაკენ. ამ დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა უნდა შეიცნონ და გაითვალისწინონ მთელმა ჩვენმა პიონერხელმძღვანელებმა და პიონერმომუშავეებმა და გამოიყვანონ მისგან შესაფერისი დასკვნები პიონერორგანიზაციების მომავალი მუშაობისათვის.

საკმარის არ არის იმის მტკიცება, რომ ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის თავიდან აცილების საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ პიონერხელმძღვანელებს და მთლიანად პიონერრაზმებს.

ათასობით შემთხვევები გვაქვს, როდესაც პიონერრაზმებს და პიონერხელმძღვანელებს ხელიდან გამოუ-

გლევჯით ბნელი ადამიანებისა და ქუჩის გავლენისაგან აუარებელი უპატრონო ბავშვი, და თავისი ყოველდღიური მზრუნველობით გაუხდიათ ისინი საუკეთესო პიონერებად და სწავლების დამკვრელებად. მაგრამ გვაქვს საწინააღმდეგო ფაქტებიც, არა იშვიათად გვხვდება ხოლმე, როდესაც პიონერრაზმის ცუდი მუშაობისა და პიონერხელმძღვანელის უყურადღებობის გამო ბავშვები იპარებიან ქუჩაში, ექცევიან კლასიური მტრის ბრჭყალებში და ხდებიან უმეთვალყურეონი და უპატრონონი.

ვერც ზნეობრივი სწავლება პიონერხელმძღვანელების, ვერც „დამუშავება“ ამ საკითხისა პიონერ-რგოლებში, ვერც ათასგვარი საყვედური გაპარულ ბავშვებზე საქმეს ვერ შევლიან.

პიონერრაზმიდან გამორიცხვით და პიონერგალსტუკის ჩამოხსნით კმაყოფილებიან პიონერრაზმები და პიონერხელმძღვანელები და ამით საქმეს „ამთავრებენ“!

ცოცხალი ბავშვი გზას აცდა და დაიბნა, გავიდა ჩვენი რიგებიდან, დაადგა მცდარ, დამლუბველ გზას, ასცდა ჩვენს გავლენას, მოექცა ხულიგნებას, სისხლის სამართლის დამნაშავე ტიპებისა და კლასიური მტრის გავლენის ქვეშ, — ნუთუ ასეთი შემთხვევა სამარცხვინო არაა პიონერრაზმისა და კერძოდ პიონერხელმძღვანელისათვის?

სახკომსაბჭოს და პარტიის ცეკას დადგენილება პიონერხელმძღვანელებს ავალებს სერიოზულად ჩაუფიქრდნ ამ საქმეს და განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც დაეხმარება პარტიას ბავშვთა უპატრონობის და უმეთვალყურეობის აღმოსაფხვრელად.

რა შეგვიძლია ჩვენ და რა უნდა გავაკეთოთ? პირველია ავიყვანოთ განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ ობოლი ბავშვები და ბავშვები იმ მშობლებისა, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო უხდებათ თავიანთი ბავშვების უმეთვალყურედ დატოება. როგორც ცნობილია, ასეთი ბავშვები წილად ხვდებიან ქუჩის გავლენას. სერიოზულად ჩავსწვდეთ ამ ბავშვების ცხოვრებას, ვნახოთ ისინი ბინაზე, გამოვარკვიოთ რას საქრობენ და აღმოუჩინოთ რეალური დახმარება (საუზმე, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, წიგნები და სხვა) და რაც მთავარია, ვიყოლიოთ ყოველთვის ჩვენი მხედველობის არეში, თვალყური ვადევნოთ მათ ყოფაქცევას, ყოველმხრივ ჩავაბათო ისინი რაზმის მუშაობაში და აღვჭურვოთ რაზმის ყოველდღიურ ყურადღებითა და მზრუნველობით — აი რა უნდა გავაკეთოთ პიონერხელმძღვანელებმა! განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოექცეთ იმ ბავშვებს, რომელნიც უკვე მოქცეული არიან ქუჩის გავლენის ქვეშ. არა ყვირილით და მუჯღღუფებით, არამედ მოფიქრებული და მეგობრული მიდგომით, მოფერებით, ტაქტიკური და ამავე დროს მტკიცე, დაჟინებითი აღზრდით შეიძლება მივალწიოთ კარგ შედეგებს და, რაც მთავარია,

ვაგრძნობით ასეთ ბავშვებს არა სიძულვილი „სუფთა“ ბავშვების მხრივ, არამედ გულთბილი მზრუნველობა მთელი პიონერკოლექტივისა. ამავე დროს პიონერრაზში ვალდებულია ყველაზე უმაღლეს აგრძნობის მშობლებს პასუხისმგებლობა მათი ბავშვების ყოფაქცევისათვის. პიონერრაზში ვალდებულია აუცილებელი საჭიროების დროს დააყენოს საკითხი სასამართლოს წინაშე მშობლებისთვის ბავშვის გამორთმევისა და მისი მოთავსების შესახებ საბავშვო სახლში მშობლებისაგან ბავშვის შესანახი ხარჯების გამორთმევით.

ყოველ შემთხვევაში, პიონერრაზში და პიონერხელმძღვანელმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან ბავშვების ბედისა და რომ თითოეული შემთხვევა ბავშვის გასვლისა რაზმიდან და მისი ქუჩის გავლენის ქვეშ მოხვედრა წარმოადგენს სამარცხვინო ლაქას მთელი რაზმისა და პირველ რიგში კი ხელმძღვანელისათვის.

განსაკუთრებით სერიოზული ამოცანები დგას ხელმძღვანელთა წინაშე, რომელნიც მუშაობენ საბავშვო სახლებში და კიდევ მეტი ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სპეციალურ სახლებში. უეჭველია, ასეთ ბავშვებთან მუშაობა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ჩვეულებრივ რაზმში, მაგრამ მით უფრო ენერჯიულად და თავდადებით უნდა იმუშაონ ხელმძღვანელებმა. დამეგობრება ბავშვებთან, მათი ნდობისა და სიყვარულის მოპოვება, მოთმენით და დაუღალავად ბრძოლა ბავშვებში ქუჩის გავლენის აღმოსაფხვრელად, მათში კულტურული ყოფაქცევისა და ჩვევების გამოსამუშავებლად და მიღწევა ბავშვების მიერ ცოდნის და პროფესიის ათვისებისა, აი — რა მოეთხოვება თითოეულ პიონერხელმძღვანელს.

სერიოზულად უნდა დაისვას საკითხი პიონერრაზმის ადგილმყოფელობის შესახებ საბავშვო სახლებში. ბევრ საბავშვო სახლში სრულებით არაა ჩამოყალიბებული პიონერრაზში იმ მოტივით, რომ იქ მყოფი ბავშვები სასკოლო რაზმებში არიან გაერთიანებულნი. ასეთ მდგომარეობას იქამდის მივყავართ, რომ საბავშვო სახლის შიგნით ბავშვები არ არიან ორგანიზებული და მტკიცედ შემოკრებილნი ასეთი ორგანიზაციის ირგვლივ. ასეთი მდგომარეობა უნდა აღმოიფხვრას.

თითოეულ საბავშვო სახლში, როგორც ნორმალური, ისე სპეციალური ტიპისა, უნდა შექმნას მტკიცე პიონერრაზმები, რომელნიც უზრუნველყო-

ფილ უნდა იქნენ მომზადებულნი შემოწმებული ხელმძღვანელ აღმზრდელით, — მხოლოდ მაშინ შეძლებს პიონერრაზში შესრულებას მასზე დაკისრებულ ამოცანებისას ბავშვთა აღზრდის საქმეში.

საბავშვო სახლების პიონერრაზმების მუშაობა უნდა გაიშალოს ბავშვთა ინიციატივისა და თვითშემოქმედების ხაზით, რომელიც მიმართული იქნება მათი საღი მისწრაფებებისა და შესაფერი შრომითი წრეები, ბავშვებში პატივისცემის გამომუშავება ხელმძღვანელთადმი, ბრძოლა სწავლებაში წარმატებისათვის, საზოგადოებრივი ქონებისადმი მზრუნველი მოპყრობისათვის და შრომითი პროფესიის სწრაფად და წარმატებით ათვისებისათვის, — აი რა უნდა იდგეს საბავშვო სახლის პიონერრაზმის მუშაობის ცენტრში.

ქალაქის ყველა პიონერრაზში ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს საბავშვო სახლის პიონერრაზმებს. ზოგჯერ გხვდება შემთხვევები, როდესაც პიონერრაზში მსუბუქად და ზერელად უტკერის საბავშვო სახლის პიონერების მუშაობას და ნაკლებად ზრუნავს „პრიუტელებისათვის“ დასახმარებლად. ასეთი განწყობილება გადაწყვეტილ უნდა უტყუავდეთ.

აღვჭურვით საბავშვო სახლის რაზმები ღირსეულ შეფუთი მზრუნველობით, ხშირად მივიდეთ მათთან სტუმრად და მოვიწვიოთ ისინი ჩვენთან, სინამდვილეში დაეხმაროთ მათ მუშაობაში, მოვაწყოთ მათთან შეჯიბრება სწავლებასა და სხვა მუშაობაში მოვაწყოთ მათთან ერთად ექსკურსიები, საღამოები გასეირნება, — აი როგორ უნდა მეგობრობდნენ ქალაქელი რაზმები საბავშვო სახლების რაზმებს: ნათელი, ბედნიერი ბავშვობა, მშვენიერი სიცოცხლე, მზე და სიხარული შექმნა პარტია ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ბედნიერ ბავშვთათვის.

მზურვალე სიყვარულით არიან მოცული ჩვენი ბავშვების.


ბანაკები და მოედნები, პარკები და სტადიონები, ბაღები და სასწავლებლები, სასახლეები და აგარაკები, — ყვერათფერი ეს შექმნილია ჩვენი ბავშვებისათვის.

და ჩვენი ვალია — გამოვტაცოთ ქუჩის ბრწყინებებიდან დანარჩენი უპატრონო და უმთვალეყო ბავშვები და მათგან აღუზარდოთ ჩვენს ძლივამოსილ სოციალისტურ სამშობლოს კულტურული და თავდადებული შვილები.

6. ეზროსიძე

პარაშუტის ისტორია


პარაშუტის იდეა მოუვიდა ლეონარდო-და-ვინჩს და მანვე გააკეთა პირველი უბრალო პარაშუტი, რომლის სურათ-მაც ჩვენამდე მოაწია. ლეონარდო და-ვინჩი ცხოვრობდა XVI საუკუნის დასაწყისში, იტალიაში.



პირველი პარაშუტის სურათი


1783 წელს ფიზიკოსმა ლენორმანმა გააკეთა პარაშუტი — ყოვლად მარტივი და გარეგნულად უშნო, რომლითაც თვითონვე გადმოხტა.

1784 წელს ჰაერონოსანი ბლანშერი გაფრინდა საჰაერო ბუშტით, რომელზედაც მიმაგრებული იყო პარაშუტი. 1785 წელს იმავე ბლანშერმა 500 მეტრის სიმაღლიდან პარაშუტით გადმოავლო კატა, რომელიც უვნებლად დავიდა მიწაზე.




ლენორმანის მიერ გაკეთებული პარაშუტის სურათი.

1797 წელს ჰაერონოსანი გარნერენი პირველად და უვნებლად გადმოხტა პარაშუტით საგრძნობი სიმაღლიდან.



ბლანშერის საჰაერო ბუშტი პარაშუტით.

პარაშუტი თანდათანობით განვითარდა. მსოფლიო ომის დროს 1914 — 1918 წლებში. ძალიან ხშირად იყენებდნენ პარაშუტს ჰაეროპლანებიდან გადმოსაფრენად. პარაშუტი ავტომატურად იხსნებოდა თოკის საშუალებით, რომლის ერთი თავიც მიბმული იყო ჰაეროპლანზე, მეორე კი პარაშუტის გუმბათის თავზე. გადმოხტომის დროს თოკი ხსნიდა პარაშუტის ჩანთას, რომლიდანაც ამოდიოდა და იშლებოდა პარაშუტი.




გარნერენის პარაშუტის სურათი

მრ.

როგორაა მოწყობილი პარაშუტი

ჰაეროპლანი ადის გარკვეულ სიმაღლეში, და პარაშუტისტი ემზადება გადმოსაშვებად, რისთვისაც გადის ფრთაზე. პარაშუტისტს ტანზე ღვედებით შემოკრული აქვს ჩანთა. ჩანთა ზურგზეა მომარჯვებული და მასში მოთავსებულია ლამაზად დაკეცილი პარაშუტი. პილოტის ძახილის შემდეგ პარაშუტისტი მოწყდება ხოლმე ჰაეროპლანიდან. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰაერში სისწრაფით მომფრენი პარაშუტისტი გამოჰკრავს რგოლს, ჰაერში ტკაცანი გახდება, და ჩანთა იხსნება. პარაშუტისტი იყურება მაღლა და ხედევს, რომ მის თავზე იხსნება ვეებერთელა ქოლგა. წვრილი თოკები მის თავზე მარაოსებურად იკიმება. პარაშუტი სწრაფად ეშვება მიწისკენ. აი მი-

წაც — და პარაშუტისტი ფრთხილად ეშვება მასზე. ჰაერში დაჭიმული თოკები ლამაზად იკეცება და ეწყობა მიწაზე. ალბათ ბევრ ჩვენს მკითხველს თვითონ უნახავს პარაშუტით ჩამოფრენა და დაჰკვირვებია კიდევ, მაგრამ საინტერესოა როგორაა მოწყობილი თვით პარაშუტი. პარაშუტი შედგება გუმბათისაგან, რომელიც კეთდება მაგარი და მსუბუქი მატერიიდან და გაშლილი ქოლგის სახე აქვს. გუმბათის თავიდან ნაპირებისკენ ვაჭიმულია მაგარი თოკები. თოკების ბოლოები შეერთებულია ღვედებთან, რომელიც გადაეცემა პარაშუტისტს. გარეზინებულ ჩანთაში მოთავსებულია მთლიანად პარაშუტი. ჩანთაში პარაშუ-



ტი ასე იღება: ჯერ ალაგებენ კარგად გამართულ თოკებს, შემდეგ გუმბათს, რომელიც ნაოჭებად არის დალაგებული. როდესაც პარაშუტი ჩალაგებულია, ჩანთა კონვერტივით იხურება. და მხოლოდ მის შემდეგ იხსნება, როცა პარაშუტისტი გადმოხტება ჰაეროპლანიდან და გამოჰკრავს რგოლს. ჩანთიდან პარაშუტის ამოსაშვებად იხმარება პაწაწკინა პარაშუტი, რომელიც მაგრდება ძირითად გუმბათის თავზე, როგორც კი პარაშუტისტი რგოლს გამოჰკრავს ხელს, პაწაწკინა პარაშუტი, ავტომატურა მექანიზმების საშუალებით, ჩანთიდან იმწამსვე ამოვარდება და იშლება. ის ივსება ჰაერით და აადვილებს ძირითადი პარაშუტის ამოღება-გაშლას. ჩვეულებრივად, ძირითადი პარაშუტი ამოდის ჩანთიდან რგოლის გამოკვრიდან 2 — 3 წუთის გასვლის შემდეგ. ასეა მოწყობილი თავისუფალი პარაშუტი (არა ავტომატური). პარაშუტი ეწყობა ჰაეროპლანზე, როგორც საჰაერო ფრენის აუცილებელი მოწყობილება. მით სარგებლობენ არა მარტო ავარიის დროს, არამედ მისი საშუალებით ჰაეროპლანიდან აღამიანებსა და ტვირთს ისე უშვებენ მიწაზე, რომ ჰაეროპლანის დაშვება საჭირო არარის, რაც დროის უდიდეს ეკონომიას იძლევა.

ბავშვთა უემოქმელება

ღ ა მ მ ჩ მ მ ს ო ფ ე ლ შ ი

შორს ზღვის პირას მზე ჩადის და
დაბლა იწვევს იძირება,
ღამე მთებზე ფეხებს იღვამს,
სოფლებისკენ იცქირება.

ჩემ სოფელშიც ღამეს ველი,
მზე ჩადის და ღამე არ ჩანს,
ღამე არ ჩანს, ღამე ბნელი,
საფიქრებლად ღამე დამრჩა.

მიკვირს, ღამე თუ სად სახლობს,
სად უფსკრულში ვადიჩეხა!
ამ ფიქრის დროს სოფლის ახლოს
ელსადგურმა დაიკეჭა.

მაშინ ვტკიცე შუბლს ხელები,
ავიხედე უცებ ზეზე,
ღამის მესაფლავეები
ჩიტებივით ისხდნენ ხეზე.

სიხარულით ხტუნვა ვიწყე,
რომ ჩამკრალა ქოხშიც კრაქი,
და ვთქვი: „ღამევ, მთებზე იწექ
ვინ გავიშვებს მთების აქით!

თუ ქალაქმა ზნელი მოსპო
და სინათლე აღარ ჰქონია,
ელექტრობის თეთრი სხივი
ლაპარაკობს სოფელშიაც...

ელიზბარ უზილაშა

(წალენჯიხის პედტექნიკუმის მოწაფე)



„პ ი ო ნ ე რ ს“



ჯის სმენია, აბა ვისა,
სწავლა-ყოფა ამისთანა,
ვის სმენია სიხალისე,
ჩვენმა დრომ რომ მოგვიტანა!

დრომ დაღეწა ძველი ყოფა,
ძველზე კუჭყვი მოგვაშორა,
და სკოლიდან გაიღვენა
ხუცესი და ანაფორა!

ახლა სწავლას არ ვუფრთხვებით,
ნაყოფიანს, მიმზიდველსა,
გასაროზგად, ჩასაქოლად
ველარავინ გვახლებს ხელსა!

საღს და ახალ ძალას გვმატებს
ახალი დღის გათენება,

გვევალება, ვიცით კარგად
კომუნიზმის აშენება.

ძლიერდება ჩვენი ძალით
ქვეყნის წინსვლა და გრაგანი,
ამ ყოფაში უიმედო
ვინ იქნება ჩვენთავანი!

გოგის, ტასოს, გიგლას, ნინოს
ვერვინ გვნახავს დღეს მშვიერსა,
ხელთ გვიპყრია და ვკითხულობთ
ჩვენ საყვარელ „პიონერსა“.


გიგა ნემსიწვრიკა

ცაგერის პედტექნიკუმის მე-2
კურსის მოწაფე

მხედველობის მოტყუება

სურათზე გამოხატულია 8 პარალელური ხაზი, რომლებიც იკვეთება პატარ-პატარა ხაზებით ან კვერცხისებური ფიგურებით. გადამკვეთები პარალელური ხაზების ერთი ბოლოდან თანდათანობით იზრებიან მეორე ბოლოსაკენ. გადამკვეთი პატარა

ხაზებისა და კვერცხისებური ფიგურების მეოხეობით, ხაზები არ გვეჩვენება პარალელურებად, თუმცა თავისთავად ისინი პარალელურებია, რაშიდაც ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავზომავთ მანძილს ხაზებს შორის ორივე ბოლოში.



ფასი 75 კპ.

სტ-167

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო



„П И О Н Е Р“

Г о с и з д а т Г р у з и и

Тифлис 1935 г.